საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 239 (518) პარასკევი, 20 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 3 მან.

წუხელ შევიტყვეთ

დაიჭრა ჟურნალისტი

18 ნოემბერს აფხაზეთში, სამხედრო კონფლიქტის ზონაში მოწინააღმდეგე ხმელეთზეც და ზღვაზეც განაგრძობდა აქტიურ მოქმედებას.

სოფელ ტამიშთან ოჩამჩირიდან სოხუმს მიმავალ ქართველ მეომართა ჯგუფსა და ჟურნალისტებს სეპარატისტებმა ცეცხლი დაუშინეს. დაიღუპა 3 მებრძოლი და მსუბუქად დაიჭრა ერთი ჟურნალისტი.

გრძელდებოდა ლოკალური შეტაკებები შრომა-ახალშენის მიმართულებით. აფხაზებმა ტ-72 ტანკი გამოიყენეს. მათ აქტიურობას წარმატება არ მოჰყოლია.

შუადღისას სოფელ მაჭარიდან ზღვაში შეამჩნიეს წყალქვეშა ნავი.

საღამოსთვის, სოხუმ-კელასურის სანაპირო ზოლის სიახლოვეს გამოჩნდა რამდენიმე გემი. ერთ-ერთმა მათგანმა სროლა ატეხა. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლითვე უპასუხეს და უკან გააბრუნეს.

კვლავ ესროლეს რაკეტები „სუ-25" ტიპის თვითმფრინავებმა კელასურის, კომპოზიტორების დასასვენებელი სახლისა და „მაიაკის" მიდამოებს. დაჭრილია ერთი ქართველი სამხედრო მოსამსახურე, ქალი და ბავშვი, ორივე — რუსი ეროვნების.

აფხაზეთის რეგიონში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობა დაუყოვნებლივ დაუკავშირდა რუსეთის არმიის სამხედრო ხელმძღვანელობას და მტკიცე პროტესტი განუცხადა. რუსმა სამხედროებმა თავი იმით იმართლეს, რომ ქართველთა პოზიციებიდან გვესროლესო, რაც, ცხადია, მართალი არ არის, რადგან ქართული მხარე არ ესვრის იმ ტერიტორიას, სადაც, რუსების მიერ გადმოცემული კოორდინატების თანახმად, მათი სამხედრო ნაწილებია განლაგებული.

ღამით კვლავ გაჩნდა ხანძარი. დაიწვა საბავშვო ბაღის შენობა და რამდენიმე ბარაკი.

იოსებ ბობეჯია.

სოფელი დანაღმულია

18 ნოემბერს დაახლოებით 16 საათზე ცხინვალის რეგიონში ტრაგედია დატრიალდა: სოფელ მამისაანთუბანში ნაღმზე აფეთქდა ავტომანქანა „ჟიგული", რომლის 5 მგზავრი ადგილზე დაიღუპა. კიდევ 5 ვაჟკაცი დააკლდა საქართველოს — სოსო კაშაშვილი, დათო კახრაძე, სანდრო მამისაშვილი, გია კუკოშვილი, მამუკა ბერუაშვილი.

მიმდინარეობს გამოძიება. ეს ინფორმაცია ცხინვალიდან გადმოგვცა ჟურნალისტმა ზურაბ გოშაძემ.

ერთიანი ძალისხმევით

ინდოეთის წამყვანმა მეჩაიეობის კომპანიამ „ტატა-კომპანიმ" დაადასტურა თავისი თანხმობა ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ, რომელიც პირველ ეტაპზე გამოუშვებს ათი ათას ტონა ჩაის. საქართველოში ჩამოსულმა ინდოელმა ექსპერტებმა პოზიტიურად შეაფასეს საქართველოს შესაძლებლობა აწარმოოს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

— უცხოეთის კომპანია კისრულობს უზრუნველყოს ერთობლივი საწარმო თავისი ტექნოლოგიური მოწყობილობით, ნედლეული კი ჩვენი იქნება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

სახელმწიფო მეთაურმა სთხოვა პარლამენტარებს, გაეთვალისწინებინათ, რომ შექმნილ საომარ ვითარებაში იდეალური სტრუქტურისა და სისტემის მოფიქრება შეუძლებელია, ხოლო საჭირბოროტო საკითხების სწრაფად გადაწყვეტა ამ იდეალური სისტემის მოფიქრებაზე—არანაკლებ მნიშვნელოვანი

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

18 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის საღამოს სხდომაზე პარლამენტარებმა განაგრძეს პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას მიერ წარმოდგენილი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვა.

პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პარლამენტარების ცხარე კამათის მიუხედავად ურთიერთგაგების სასიკეთო ტენდენცია უთუოდ საგრძნობი გახდა.

შემდეგ მან დეპუტატების სახელით მიულოცა გამოჩენილ ქართველ მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს დაბადების 71 წელი.

პარლამენტარები შეუდგნენ მთავარი საკითხის განხილვას. ბატონ თენგიზ სიგუას დაუსვეს საკმაოდ მწვავე კითხვები.

ფრაგმენტულად მოგაწვდით ზოგიერთ მათგანს.

— რა საჭიროა ხუთი ვიცე-პრემიერის თანამდებობა?

— კანონის დარღვევა ხომ არ არის, როცა თავდაცვის მინისტრი ამავე დროს ვიცე-პრემიერის მოვალეობას ასრულებს?

— რატომ არსებობს ტრანსპორტის სამინისტრო, თუ ცალ-ცალკე იარსებებს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი და საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი?

ზოგიერთმა საერთოდ იჭვი გამოთქვა, რომ ასეთი სტრუქტურა შეძლებს რეფორმას, რომელიც ასე აუცილებელია.

ზოგიერთმა პარლამენტარმა სამინისტროების რიცხვის შემცირება მოითხოვა, ზოგმა კი პირიქით — ახალი სტრუქტურების შექმნა. მაგალითად, დაისვა საკითხი, რომ გაითვალისწინონ ცხინვალის რეგიონის პრობლემათა დეპარტამენტი.

მწვავედ დაისვა საკითხი: საჭიროა თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისო კომიტეტი იყოს მთავრობის სტრუქტურებში?

ბატონმა თენგიზ სიგუამ ყველა კითხვას გასცა პასუხი და ბოლოს დასძინა.

— ქვეყანა გარდამავალ პერიოდშია. მიმდინარეობს ცენტრალიზებული დაგეგმვის სტრუქტურებზე და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. ამის გამო სტრუქტურებში შენარჩუნებულია ძველი და გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი ელემენტები. ზოგიერთი სამინისტრო დროთა განმავლობაში დაკარგავს თავის ფუნქციას. მაგალითად, მრეწველობის სამინისტრო. მრეწველობის ობიექტების პრივატიზაცია არსებობის აზრს დაუკარგავს ამ სამინისტროს. შეიცვლება ვაჭრობის სამინისტროს სტატუსიც და ასე შემდეგ. ახლა საჭიროა სასწრაფოდ დამტკიცდეს სტრუქტურა, რათა მინისტრთა კაბინეტი შეუდგეს მუშაობას.

კამათი არ ცხრებოდა. ზოგი დეპუტატი რამდენჯერმე ითხოვდა სიტყვას, ზოგიც უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ უხდება მიკროფონთან ცდა. ჩვენ ვთხოვეთ სამანდატო, ეთიკის და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარეს თენგიზ ხუაჩიძეს ბლიც-ინტერვიუ:

— ეთიკის საკითხები თქვენს კომისიაში შედის. რას იტყოდით ჩვენს პარლამენტარებზე ამ თვალსაზრისით?

— არაფერი საგანგაშო აქ არ ხდება. ჩვენ ახლა ვსწავლობთ საპარლამენტო მუშაობას. რაც შეეხება მწვავე კამათს, ეს მოწმობს, რომ განსახილველად გამოტანილია საკითხი, რომელმაც საქართველოს ბედი უნდა გადაწყვიტოს. ჩვენ კი ყველანი პატრიოტები ვართ. და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქართველებს ტემპერამენტიც არ გვაკლია. ცოტა საპარლამენტო დისციპლინა გვაკლია, მაგრამ არაუშავს. ინგლისის პარლამენტში არის შემთხვევები, როცა სპიკერი წესრიგისაკენ მოუწოდებს, და თუ ვერაფერს გახდება, სიტყვასაც კი აწყვეტინებს გამომსვლელს. ზოგიერთ პარლამენტში კი დეპუტატს სასჯელად რამდენიმე სხდომას გამოატოვებინებენ ხოლმე.

— რას იტყვით სხვა საკითხებზე, რომლებიც თქვენი კომისიის კომპეტენციაში შედის?

— რაც შეეხება სამანდატო საკითხებს, აქ ყველაფერი მოგვარებულია, პრივილეგიები კი — ეს რთული უბანია. აქ, რასაკვირველია, საჭიროა მკაცრად დავიცვათ ყველაფერი, რომ პარლამენტარები მართლაც მაღალზნეობრივი და სამაგალითო მოქალაქეები ვიყოთ. ამაზე ჩვენ ახლა ვიწყებთ მუშაობას.

— თქვენი კომისია როდის შეუდგა მუშაობას?

— ამჟამად წესდებაზე ვმუშაობთ, დავამტკიცებთ და შევუდგებით...

სხდომა კი მიმდინარეობდა. მან ხუთ საათს გასტანა. გვიან ღამემდე.

19 ნოემბერს დილის 12 საათზე საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მუშაობა განაახლა.

კამათმა მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებ მწვავე ხასიათი მიიღო. პარლამენტართა ერთი ნაწილი მოითხოვდა კონკურსს, მეორე კი ალტერნატიული სტრუქტურის განხილვას. კამათს ბოლო არ უჩანდა. პარლამენტარებმა ერთხმად ითხოვეს, რომ გამოსულიყო სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

პარლამენტართა თხოვნით სახელმწიფოს მეთაურმა სხდომას მოახსენა თავისი მოსაზრებანი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. — მე ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს, — აღნიშნა მან, — რომ მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონის შემოთავაზებული პროექტი გარდამავალი პერიოდის სტრუქტურებს ითვალისწინებს. ეს სტრუქტურები შეიძლება ძალიან მალე, 1-2 თვეშიც კი შეიცვალოს. ნუ მივიღებთ ისეთ კანონს, რომელიც 8 წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება. ესა თუ ის შემოთავაზებული სტრუქტურული ერთეული გარკვეული ხნის განმავლობაში შეიძლება სამინისტრო იყოს, შემდეგ, სიტუაციის შესაბამისად — კორპორაცია ან სხვა რამ. აქ მხოლოდ დროებით სტრუქტურებზეა ლაპარაკი. ამოსავალი პოზიცია უნდა იყოს ის, თუ რა არის საჭირო რეფორმატორულ საქმიანობასთან ერთად. მთავარია, მინისტრთა კაბინეტი დაკომპლექტდეს ისე, რომ რეფორმატორული საქმიანობის გარანტიას იძლეოდეს. ყველა უწყებას უნდა შეექმნას პირობები, რომ დღესვე შეუდგეს ორგანიზებულ და ოპერატიულ მუშაობას. სხვაგვარად ხვალ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. რამდენი საათითაც გავაჭიანურებთ ამ საკითხის განხილვას, მით უფრო გავართულებთ ვითარებას. დღეს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. უნდა ვიფიქროთ, როდის გაგვითავდება ხორბალი, საწვავი, ფულის ნიშნები... არ უნდა დაიკარგოს დრო — ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები.

ნუ მოვცდებით იმაზე მსჯელობით, — განაგრძო შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, — თუ რამდენი სამინისტრო უნდა იყოს, ვინაიდან თავისთავად მათი რიცხვი არაფერს ნიშნავს. ნუ დავსვამთ საკითხს ისე, თითქოს, თუ შემცირდება ეს რიცხვი, კარგი იქნება, თუ არა — ცუდი. მთავარია, რას მოგვცემს მათი პრაქტიკული საქმიანობა. წარმოდგენილ ალტერნატიულ პროექტში მე პირადად არსებითი განსხვავება ვერ დავინახე. თუ ვერ მოვახერხებთ, რომ სამინისტროებს სათავეში რეფორმატორები ჩავუყენოთ, არაფერი გამოვა. ამიტომ მთავარი საზრუნავი უნდა იყოს რეფორმების განხორციელება. ამ სტრუქტურებმა უნდა შეძლოს ახალ რელსებზე გადასვლის ორგანიზება და ყველამ უნდა შევარჩიოთ ის კადრები, რომლებიც ახლებურად აამუშავებს ძველ სისტემას.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა აგრეთვე, რომ, მისი აზრით, ახლა დროის დაკარგვაა ვიცე-პრემიერთა რაოდენობაზე კამათი. ეს ტექნოლოგიის საკითხია, — აღნიშნა მან, — და ამისთვის პრემიერმა უნდა იზრუნოს. მთავარია კადრები — რა პოზიციის, მსოფლმხედველობის ხალხს დაეკისრება ეს საქმე, იქნებიან თუ არა ისინი ბუნებით რეფორმატორები.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, აგრეთვე, რომ კვლავაც იარსებებს რეფორმებზე მომუშავე შტაბი და მისი უფლება-მოვალეობები გაიზრდება.

ქვეყნის მეთაურმა ყურადღება მიაპყრო სამინისტროების არსის, დანიშნულების სწორად გააზრების საჭიროებას. მიწის რეფორმა, — თქვა მან, — ხვალ და ზეგ შედეგს ვერ მოგვცემს. მოსავლიანობა შემცირდა. ძველ სისტემაში არსებული სამსახურები მოიშალა და გლეხი უძლური აღმოჩნდა ამ პრობლემების წინაშე. ამიტომ დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, რა შეინარჩუნოს და რისგან გათავისუფლდეს, არამედ იმაზე, თუ როგორ დაეხმაროს გლეხს, როგორ ასწავლოს, მოამზადოს ახალი ვითარებისთვის. ამიტომ უპირველესი მნიშვნელობა სწორედ სამინისტროების ხარისხობრივ დაკომპლექტებას აქვს და არა სტრუქტურებს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თაობაზე, რომელიც სტრუქტურებს შემოთავაზებულ პროექტში არ აღმოაჩნდა. ჩემი აზრით, — თქვა მან, — ეს კომიტეტი უთუოდ უნდა იყოს მთავრობის სტრუქტურაში. ამას გარდა, ამ კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა მიეცეს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს წევრის სტატუსი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ კომიტეტის ავტორიტეტი უფრო ამაღლდეს.

სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტარებს გაუზიარა აზრი შრომის, დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა კომიტეტის შექმნის თაობაზე. მან აგრეთვე პარლამენტარების ყურადღება შეაჩერა თავდაცვის ბლოკზე. ამ მდგომარეობაში, — თქვა მან, — უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც გვაქვს, 2-3 თვით მაინც. მოვა დრო და საფუძვლიანად დავუბრუნდებით ამ თემას. ახლა საკადრო საკითხებს ვწყვეტთ. მოვიწვიეთ გენერალი კამკამიძე და მინისტრის პირველ მოადგილედ დავნიშნეთ. ამით პირველი ნაბიჯი გადავდგით პროფესიული არმიის შექმნის გზაზე. ახლა ნუ ავჩქარდებით და გარკვეული დროის შემდეგ მივიღოთ კანონები მხედართმთავრის, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის შესახებ.

ბატონმა შევარდნაძემ სთხოვა პარლამენტარებს, გაეთვალისწინებინათ, რომ შექმნილ საომარ ვითარებაში იდეალური სტრუქტურისა და სისტემის მოფიქრება შეუძლებელია, ხოლო საჭირბოროტო საკითხების სწრაფად გადაწყვეტა ამ იდეალური სისტემის მოფიქრებაზე — არანაკლებ მნიშვნელოვანი. ამიტომ, — თქვა მან, — მივიღოთ ისეთი სისტემა, რომელიც, ასე თუ ისე მაინც მისაღებია. გარკვეული დროის შემდეგ კი შევძლებთ სრულიად ახალი სტრუქტურების შემუშავებას.

პარლამენტარებმა გადაწყვიტეს გამართონ კონსულტაციები.

სხდომა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

მაია ალუდაური,
გალინა ჩიქოვანი.

• • •

სურათებზე: მიკროფონთან არის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე; გამოდის პარლამენტარი იზა ორჯონიკიძე.

იოსებ დავითაშვილისა და ვანო შამანაძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველო-აზერბაიჯანი: კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა

საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ელჩთა დონეზე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ოქმების ხელმოწერით დამთავრდა საქართველოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ბაქოში. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი გორგილაძე, მატერიალური რესურსების მინისტრის მოადგილე ვილი ალავიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მერაბ ანთაძე, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

სურათზე: ხელს აწერენ ოქმს საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ.

შახვალად აივაზოვის ფოტო.

— ორ მეზობელ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება დასაბამს აძლევს საქართველო-აზერბაიჯანის ტრადიციული, მეგობრული ურთიერთობის თვისებრივად ახალ ეტაპს, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ჩიკვაიძემ. — დელეგაცია მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბულფაზ ელჩიბეიმ, გაიმართა შეხვედრები, მოლაპარაკება პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილესთან ფაჰად აჰმედოვთან, აზერბაიჯანის პარლამენტის სპიკერთან ისა გამბაროვთან. ისინი საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათისა იყო. განვიხილეთ სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პერსპექტივები.

საუბრების დროს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა აუცილებლად უნდა იყოს შენარჩუნებული. ისინი მიესალმნენ რეფორმებს ჩვენს რესპუბლიკაში, გაგებით მოეკიდნენ მის ეკონომიკურ სიძნელეებს, სათბობის პრობლემებს, დაგვპირდნენ, რომ ამ საკითხს განიხილავენ თავიანთ მთავრობაში და დაეხმარებიან მეგობარ ქვეყანას. გარდა ამისა, აზერბაიჯანის მხარე არ არის იმის წინააღმდეგი, რომ მისი ტერიტორიის გავლით მოდიოდეს გაზი ირანიდან საქართველოში.

ბაქოში ჩვენ ხელი მოვაწერეთ ოქმს საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ. იგი შეიცავს რეგულარულ კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხზე, შეთანხმებული პოზიციების შემუშავებას საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მუშაობაში ჩვენი ქვეყნების მონაწილეობით, სტაჟიორების გაცვლას და ა. შ.

მალე ჩვენი ქვეყნები ხელს მოაწერენ 1993 წლის სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებას. უკვე შეთანხმებულია მისი თითქმის ყველა პუნქტი.

მიღებულია გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფების შექმნისა და ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ყოვლისმომცველი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების, აგრეთვე შეთანხმებათა პაკეტის მომზადების თაობაზე, რომლებმაც უნდა მოაწესრიგოს ჩვენი ურთიერთობა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა დარგებში.

ნომერში

• საგზაო პოლიციას თითს უქნევენ. 2

• ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს თავისუფლება. 3

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფო მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის

განკარგულება

1992 წლის 18 ნოემბერი

დაინიშნოს გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი მიხეილის ძე კამკამიძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე,
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

ულოცავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ძვირფასო ბატონო შევარდნაძევ,

დიდის სიხარულით გილოცავთ არჩევას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენს საპარლამენტო საქმიანობაში.

იმედი გვაქვს, ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები განმტკიცდება და განვითარდება.

საუკეთესო სურვილებით, დოქტორი
იასიდ-საიდ ნომანი,
იემენის რესპუბლიკის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი.

შეხვედრა ელჩებთან

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველოში აკრედიტებული ელჩების გიუნტერ დალჰოფის (გერმანია), კენტ ბრაუნის (აშშ), ჩინეთის დროებითი რწმუნებულის სიუ ჩიცინის, გაეროს მუდმივი წარმომადგენლის თეოდორ სტარჩევიჩისა და თურქეთის გენერალური კონსულის თიმოჩინ არბაქის შეხვედრა სამინისტროს თანამშრომლებთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრივ შეხვედრას ესწრებოდნენ: მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, სამინისტროს გენერალური დირექტორი თენგიზ გორდელაძე, დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის სამმართველოს უფროსი ლევან ჰახრაკია, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი კოტე ძლენტი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი ვალერი ჩეჩელაშვილი და სხვები.

ეს შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან უცხოელი ელჩები პირველად შეიკრიბნენ იმ საკითხების ირგვლივ სასაუბროდ, რომელიც საქართველოში არსებულ უცხოეთის წარმომადგენლობათა წინაშე დგას. სტუმრებს მიესალმა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, მოკლედ მოუთხრო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ისაუბრა იმ მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებს საგარეო საქმეთა სამინისტრო — როგორიცაა პოლიტიკურ-ეკონომიკური ხელშეკრულებები, უახლოეს ხანებში მოსალოდნელი საელჩოების გახსნა და სხვა.

თბილისში მყოფი ელჩები მიესალმნენ საქართველოში წარმატებით ჩატარებულ არჩევნებს და ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყებას. დადგა საკითხი საელჩოების თანამშრომელთა საცხოვრებელი, საელჩოთა დაცვისა და ნორმალური, ცივილიზებული პირობების შექმნის შესახებ. საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა გამოთქვეს დიდი სურვილი, რომ თუ შესაძლებლობა იქნება, ქართულმა მხარემ გამოსცეს საინფორმაციო ბიულეტენი, რის საშუალებითაც ისინი გაეცნობიან მთავრობის დადგენილებებს, მიიღებენ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს ელჩებმა აირჩიეს დუაიენი — გერმანიის ელჩი ბ-ნი გიუნტერ დალჰოფი.

ნონა გოგზელიძე,
საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

დაწესდა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია



საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის გადაწყვეტილებით **დაწესდა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია.** იგი ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა ოთხი პრემიის ოდენობით. პრემიის თანხა ხუთი მილიონი მანეთია.

პრემიებს გასცემს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიების კომიტეტი.

სადღეისო შეკითხვა

ქურდის დაჭერასაც ბენზინი უნდა

იცოცხლეთ, ჩვენი უმკაცრესი დღევანდელობა შეკითხვებს აჩენს — პრობლემურ შეკითხვებს. და მაინც, ამ შეკითხვებში გამოირჩევა უფრო სადღეისო. რედაქცია ეცდება დროდადრო დააკმაყოფილოს თქვენი ინტერესი ამ შეკითხვაზე.

ამჟამად, მაგალითად, ჩვენ ყველაზე „სადღეისოდ" გვეჩვენება, თუ რა ღონისძიებებს ატარებენ შინაგან საქმეთა ორგანოები „გაყაჩაღებული საქართველოს" მოსათოკად.

ჩვენი აზრი დაადასტურა მკითხველთა ზარებმაც. გვითხრეს: იმასაც მოვესწარით, ახლახან იუსტიციის მინისტრისა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მანქანები გაიტაცეს ქურდებმა, ამაზე მეტი ცინიზმი რაღა იქნებაო.

დავურეკეთ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს **დავით ზეიკიძეს.**

— რა თქმა უნდა, ვიცით ეს ამბები, — გვიამბობს ბატონი დავითი, — ღონისძიებებსაც ვატარებთ (ოღონდ, რა ღონისძიებებს, ეს თუ გითხარით, ქურდებს ვეღარ დავიჭერთ) და ვეცდებით ბოროტება არავის შერჩეს. ჩვენი პოლიციელები ყველაფერს აკეთებენ ამისათვის, მაგრამ, მოგეხსენებათ, თავს ზევით ძალა არ არის. მაგალითად, ძალიან გვიშლის ხელს უბენზინობა. ხანდახან ქურდებს ბოლომდე რომ ვდიოთ მანქანით, ამის საშუალებაც არა გვაქვს...

ვინ მიაწვდის ბენზინს პოლიციას?

ეკონომიკა

რომელი ფორმაა მისაღები?

რევაზ ლორთქიფანიძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

საკუთრების პრობლემა ეკონომიკური თეორიის საფუძველია და მისი ცალკეული ასპექტების მართებულად გააზრება უძველესი დროიდან აღელვებთ მეცნიერებსა თუ პრაქტიკოსებს. დღევანდელი მსოფლიოს ქვეყნების საკუთრებით სტრუქტურაში (სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით) სახელმწიფო სექტორის წილი 5-10 პროცენტიდან თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობამდე მერყეობს, შესაბამისად განსხვავებულია მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილების მექანიზმებიც (შემოსავლების დიფერენციაცია, გაუთვალისწინებელი გამონაკლისების გარდა, იცვლება 1:2-თან პროპორციიდან 6-7 ნიშნა რიცხვის პოლარიზაციამდე), ეკონომიკურად მაღალგანვითარებული შვეციის მრეწველობაში კაპიტალის 90 პროცენტამდე კერძო მფლობელობაშია, სამაგიეროდ ძალზედ უმნიშვნელოა დასაქმებულთა შემოსავლების განსხვავება, თუმცა აღნიშნული ინტერვალის გარკვეული ზრდაც აუცილებლობად იქცა. სამყაროს ამოუცნობი მრავალფეროვანება სრული გათანაბრების უსაფუძვლობაზე მეტყველებს.

საქართველო მცირე ტერიტორიის მიუხედავად ბუნებრივ-კლიმატური და ეთნიკური განსხვავების განუმეორებელი მრავალხმიანობით (მზიური ზღვისპირეთიდან — მყინვარწვერამდე, მესხეთიდან — ლეჩხუმამდე) ხასიათდება. ამდენად, ჩვენი აზრით (მსოფლიო პრაქტიკაზე დაკვირვებით), ქართული სახელმწიფოს სრულფასოვანი ეკონომიკური სიძლიერისათვის მის საკუთრებაში უნდა არსებობდეს ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით 30 პროცენტი მაინც (50-70 პროცენტი, კერძო მფლობელობაში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, ამასთან რეალურიც). სახელმწიფომ საკონტროლო პაკეტის შიგნით, კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით, მაღალეფექტურად შეიძლება გამოიყენოს ე. წ. შუალედური ფორმები: შერეული სააქციო კორპორაციები, საერთაშორისო ერთობლივი კომპანიები, იჯარით გასხვისება და ა. შ. საკუთრების სტრუქტურის საკითხი სპეციფიკურ მიდგომებს საჭიროებს რეგიონების, დარგებისა და ქვედარგების, საწარმოების ჭრილში. გასათვალისწინებელია ძირითადი კაპიტალის ბრუნვის თავისებურებანი.

პრივატიზაცია

საკუთრებისა და საერთოდ კვლავწარმოების პროცესის თანაფარდობებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ეროვნული სიმდიდრის სპეციფიკა და სტრუქტურა. არცთუ იშვიათად, დიდი ეროვნული სიმდიდრის ქვეყნებში, დაბალი საწარმოო კულტურისა და დისციპლინის გამო, მოსახლეობა სიღარიბის დონეზეა მისული, შესაბამისად არასრულფასოვანია საკუთრებითი პროპორციები.

სახელმწიფოს მთავარი ეროვნული სიმდიდრე მისი ხალხია, რომელიც ფლობს ისტორიულად დაგროვილ სულიერ და მატერიალურ დოვლათს. სულიერი საუნჯე ხშირად შეუფასებელია. რაც შეეხება საქართველოს მატერიალურ სიმდიდრეს (აღურიცხავი ბუნებრივი რესურსების გარდა), იგი, ჩვენი აზრით, დაახლოებით 1,5-2 ტრილიონ მანეთს შეადგენს, (1992 წელს ფასების ნახტომისებური ცვლილების გათვალისწინებით), რაც 10-15 (±) მილიარდი დოლარის ფარგლებშია ვალუტის მიმდინარე საბაზრო კურსის შესაბამისად. ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურაში წამყვანი პოზიცია ძირითად კაპიტალს უჭირავს — თითქმის 60 პროცენტი (აქედან ორი მესამედი საწარმოო საშუალებებზე მოდის), საბრუნავ კაპიტალს — 20 პროცენტი. დანარჩენ ნაწილს შეადგენს მოსახლეობის პირადი ქონება, სასაქონლო მარაგი, სახელმწიფო რეზერვები, მათ შორის ოქროს და ა. შ.

ხშირად, როცა ლაპარაკობენ საკუთრების განსახელმწიფოებრიობის პროცესზე, აქცენტი კეთდება მცირე ობიექტებზე, რაც ფაქტობრივად პრივატიზაციაზე უარის თქმას ნიშნავს: მრეწველობაში საწარმოები, რომლებშიც 100 კაცზე ნაკლებია დასაქმებული, ფლობენ ძირითადი კაპიტალის დაახლოებით 2 პროცენტს, მაშინ როცა 1000 კაცზე მეტი პერსონალის საწარმოები — 75 პროცენტს. სხვა საქმეა, როცა ვასაბუთებთ მცირე ბიზნესის უპირატესობას, სადაც შეიძლება იწარმოებოდეს ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლებელია (ნახევარზე მეტიც). ჩვენი გაანგარიშებით ძირითადი კაპიტალის განსაკუთრებით მაღალი უკუგებით ხასიათდებიან სწორედ მცირე საწარმოები. ამდენად, ჩვენ მომხრე ვართ მსხვილი სამეურნეო ობიექტების დანაწევრება-განკერძოებისა სპეციფიკური ფორმებით. ამით ეკონომიკის ამ მთავარ სექტორში მიემართება ფინანსური კაპიტალის უმოქმედო მასა და საკუთრების სტრუქტურის ბუნებრივობასაც მივაღწევთ.

უნდა ვეცადოთ პრივატიზების სხვადასხვა პროგრესული ფორმების ერთმანეთთან შეხამებას. საჭიროა საკუთრების ერთი ნაწილი გაიცეს უსასყიდლოდ, ნაწილი კრედიტით, ნაწილიც აქციების სახით კოლექტივის წევრებზე ან სხვა მოქალაქეებზე საკონკურსო წესით, ზოგიც აუქციონებზე გაიყიდოს, პრივატიზების მეთოდოლოგია პერიოდულ გადახედვას უნდა ექვემდებარებოდეს, ამასთან შეძლებისდაგვარად სრულად ითვალისწინებდეს საწარმოს ეკონომიკური პარამეტრების სიმრავლეს — რენტაბელობას, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მოცულობას, ტექნიკური ბაზის ასაკს და ა. შ. სახელმწიფო სექტორი აუცილებელია შენარჩუნდეს არა მომგებიანობის კრიტერიუმის მიხედვით, არამედ დარგის მნიშვნელობის შესაბამისად. საერთო-სახელმწიფო მონოპოლია საჭიროა გარკვეულწილად შევინარჩუნოთ სათბობ-ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის კომპლექსებზე. რაც შეეხება დარგებისა და საწარმოების ეკონომიკურ-პარამეტრული კლასიფიკაციის გავლენას საკუთრების განაწილების პროცესზე, აქ გვჭირდება კონკრეტული სიტუაციის ყოველმხრივი შეფასება — თუ რომელ სექტორს შეუძლია უკეთ კრიზისის დასაძლევად ძირითადი კაპიტალის სწრაფი განახლება, ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, მოთხოვნილებებზე მოქნილი რეაგირება.

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

შეკითხვა: სოფელში შევიძინე სახლი, რომელსაც აქვს 400 კვადრატული მეტრი საკარმიდამო. სახლი გაფორმებული არა მაქვს. პარალელურად ვამუშავებ მეურნეობის მიწებსაც. მეკუთვნის თუ არა დამატებით საკარმიდამო მიწა? (ზ. ქალიაშვილი, ქ. თბილისი).

—კომისიას შეუძლია ნაკვეთის დამატებით გამოუყოს მიწის ნაკვეთი იმას, ვინც ცხოვრობს ქალაქში და სურვილი აქვს დაამუშაოს, — ოღონდ გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში.

შეკითხვა: ადრე ვფლობდი ბაბუას კომლის კუთვნილ 0,5 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთს, რომელიც შემდეგ მთლიანად ჩამომართვეს და დამიტოვეს 0,06 ჰექტარი. საცხოვრებლად აქვე რაიონში დაბრუნების შემდეგ მომცეს 0,15 ჰა-მდე. შემისრულებენ თუ არა საკარმიდამო ნაკვეთს 0,75 ჰა-მდე და დამიწესებენ თუ არა გადასახადს თხილის იმ პლანტაციაზე, რომელიც ჩემს მიერ არის გაშენებული? (ა. ქარდავა, ზუგდიდის რაიონი, სოფელი ახალკახათი).

— საკარმიდამო ნაკვეთის დამატების ნორმას ადგენს ადგილობრივი კომისია. ამიტომაც თქვენც იმ ნორმამდე შეგისრულდებათ, საკარმიდამო ნაკვეთი, რამდენსაც კომისია გამოუყოფს სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს, რაც შეეხება მიწაზე გადასახადს, იგი წესდება მისი სარგებლობისათვის და ყველაზე თანაბარი პირობებით ვრცელდება.

შეკითხვა: ჩემი ოჯახი იყო კოლმეურნეობის წევრი, მე ვარ პენსიონერი. გამიდიდებენ თუ არა საკარმიდამო ნაკვეთს და რა რაოდენობით? (თ. წაქაძე, ზესტაფონის რაიონი სოფელი მეორე სვირი).

— საკარმიდამო ნაკვეთის გადიდება გეკუთვნით სოფელში მუდმივად მცხოვრები მუშა-მოსამსახურეების დარად. ნაკვეთის კონკრეტულ ოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი კომისია.

დადგენილების ექო

შეკითხვა: ჩემს მშობლიურ სოფელში, რომელიც თიანეთის რაიონში მდებარეობს, უარი მითხრეს მიწის მოცემაზე. გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სწორად მოიქცა ადგილობრივი კომისია? (თ. თეთრაძე, ქ. თბილისი).

— გაცნობებთ, რომ თქვენ გეკუთვნით მიწის ნაკვეთი იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია ქალაქში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, და ვისთვისაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სურვილი აქვთ.

შეკითხვა: მიუხედავად იმისა, რომ ჩაწერილი ვარ სოფელში და ვითვლები ცალკე კომლად, ადგილობრივი კომისია მიწების განაწილებისას მაკუთვნებს მესამე კატეგორიის მოქალაქეებს, რომელთაც მიწა ყველაზე ბოლოს უნდა მიიღონ. სწორია მათი დამოკიდებულება ჩემს მიმართ? (ც. შადური, სოფელი ბულაჩაური).

— კომისიის დამოკიდებულება თქვენდამი არასწორია. თუ თქვენ მ. წ. პირველ იანვრამდე ჩაწერილი იყავით სოფელ ბულაჩაურში და აღრიცხული იყავით, როგორც ცალკე კომლი, თქვენ მიეკუთვნებით სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას.

საით მივდივართ?

არა, კოლეგებო, პარლამენტის თავმჯდომარეს ეგრე არ უთქვამს

კლიმენტი ელიზბარაშვილი
თსუ პროფესორი.

მკითხველს მინდა ვესაუბრო, ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო სიტყვიდან გამომდინარე ერთ ფაქტზე, რომელმაც, სასწავლო დაწესებულებებსა და ინტელიგენციის ფართო წრეებში ერთობ წინააღმდეგობრივი რეაქცია გამოიწვია. მხედველობაში მაქვს თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი საკითხი — საზოგადოების მომავალი, უფრო კონკრეტულად, საით მიდის ჩვენი ქართული ეროვნული სახელმწიფო.

როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ყოფილ სსრკ-ში დაწყებული „პერესტროიკის" დროიდან მკვეთრად გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არჩევნის აუცილებლობა. ამაზე არც ახლა არსებობს ერთიანი აზრი, თავად რეფორმატორ-ფუნქციონერებიც კი დაიბნენ: აღარ იციან, რა თქვან და რა ქმნან.

ასეა ყველგან, ასეა ჩვენშიც.

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ბევრი ჩვენგანი ელოდა ბატონ ე. შევარდნაძის მოსაზრებასა და მიდგომას ამ მეტად რთული და გაურკვეველი პრობლემის მიმართ. მის წინასაარჩევნო სიტყვაში, რომელიც დიდი სამომავლო პროგრამის ტოლფასია, მართლაც დაისვა იგი. კერძოდ, კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ საზოგადოებას ვაშენებთ, ბატონმა ე. შევარდნაძემ ხაზგასმით უპასუხა: ჩვენ **„ვაშენებთ ეროვნულ სახელმწიფოს ცივილიზაციის თანამედროვე მოთხოვნების, თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით"**. ამასთან, იქვე დასძინა, რომ „მომავალი საზოგადოება იქნება **სინთეზი** (ხაზი ჩემია — კ. ე.) იმისა, რაც კი რამ პროგრესული შექმნია კაცობრიობას ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის დროს, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე".

ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, ბატონი ე. შევარდნაძე მხარს უჭერს სრულიად ახალ წყობილებას, ისეთს, რომელიც აღნიშნულის გარდა, შესაძლებლობას მოგვცემს, მის „მექანიზმში" ჩავრთოთ ჩვენი ისტორიული გამოცდილება, მთელი ერის ინტელექტი, ეროვნული სული, ჩვენი შემოქმედებითი უნარი.

ამის მიუხედავად, ერთმა ჩვენმა კოლეგამ, ეტყობა, ახალი სახელმწიფოს აღნიშნული კონცეფცია თავისებურად გაიგო და ნებსით თუ უნებლიეთ, სიტყვასიტყვით განაცხადა: **ე. შევარდნაძე კაპიტალიზმის დაბრუნებას მოითხოვსო.** ზემოთ მოყვანილი ფაქტის დამოწმება უფლებას მაძლევს, მას და მის თანამოაზრეებს კიდევ ერთხელ მივმართო: **არა, კოლეგებო, პარლამენტის თავმჯდომარეს მასე არ უთქვამს!**

ბატონი ე. შევარდნაძე მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესს. სახელმწიფო სექტორის გარკვეული დადებითი როლის შენარჩუნებას, სოფლის მეურნეობაში სწორი აგრარული პოლიტიკის შემუშავებას, აგრომრეწვში სახელმწიფო საკუთრების გვერდით მძლავრი, კონკურენტუნარიანი კერძო საკუთრების დამკვიდრებასა და განვითარებას.

პოზიცია

მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ წინასაარჩევნო სიტყვაში შემოთავაზებული ახალი პოლიტიკური ორიენტაციისა და სოციალურ-ისტორიული ოპტიმიზმის პოლიტიკის მიუხედავად, არაფერია ნათქვამი სოციალიზმის ისტორიულ ბედზე, წარმოების ახალი წესის არჩევანზე, იმაზე, თუ ახლახან მოგონილი ე. წ. „გარდამავალი პერიოდიდან" საით მივდივართ.

ჩემი ღრმა რწმენით, რაც უფრო მალე განვსაზღვრავთ ამ წყობილების პოლიტეკონომიკურ ქარგასა და მისი შემდგომი წინსვლის გზებს, მით უფრო აღვივსებით რწმენითა და იმედით. ამიტომ, იქნებ ახლავე გავეცნოთ ბატონ ე. შევარდნაძის აზრს, ამ საკითხზე. არადა, მარტო სუბიექტური ოპტიმიზმი, ან ახალი ფილოსოფიური და ეკონომიკური ცნებებით საუბარი, თუ ისინი არ ემყარება გარკვეულ პოლიტეკონომიკურ და სოციალურ სისტემას, სქოლასტიკად დარჩება, თავს ვერ დავაღწევთ სიბნელეში ხეტიალის მავნე პროცესს.

ჩვენთან ერთად, ყოველივე ამის შესახებ ნათელ პასუხს ელის ახალგაზრდობა.

ჩვენ გვესმის, რომ მიმდინარე რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მომენტის გათვალისწინებით, ძნელია ამ ეტაპის ფუნდამენტური დახასიათება და შეფასება, მაგრამ სწორედ იგივე მიზეზების გამო, მეტად საჭიროა ჩვენში არსებული და მომავალი წყობილების ცოდნა. უამისოდ, როგორც იტყვიან, ვერც წინსვლის გზებსა და საშუალებებს დავსახავთ და ვერც განუკითხაობასა და ქაოსს აღმოვფხვრით.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ მესახება ბატონ ე. შევარდნაძის წინასაარჩევნო სიტყვაში გადმოცემული აზრი მომავალი საზოგადოების, როგორც მისი განვითარების ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელი **პროგრესის სინთეზი**. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, უმთავრესი ის არის, თუ როგორ გავიაზრებთ და გამოვიყენებთ იმ დადებით მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო სოციალიზმისთვის. არადა, მათი ერთდროული და ერთბაშად ნგრევა დიდ ზიანს მოგვიტანს. ამის ნათელი დასტურია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, თუნდაც დღემდე „შემოჭრილი" წმინდა, თანაც ადრინდელი, კაპიტალისტური მოვლენები: კერძოდ, საკუთრებისაკენ ლტოლვა, ვაჭრობის სრული თავისუფლება, წარმოების საშუალებების, მათ შორის მიწის დაუსაბუთებელი პრივატიზაციის მცდელობა და სხვა.

ასე არ ივარგებს. ყველა საკითხის რეფორმა ღრმად გააზრებულად და წინდახედულად უნდა განვახორციელოთ. არამც და არამც არ შეიძლება დემაგოგებისა და პოპულისტების მოთაფლული სიტყვების აყოლა, პოლიტიკანები ხალხს ვერ დააპურებენ.

ადამიანი მშვიდობიანად უნდა მგზავრობდეს

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოდპოლკოვნიკი გიორგი ჩიჩილაშვილი.

— ბატონო გიორგი, რა მდგომარეობაა საგზაო უსაფრთხოების მხრივ საქართველოში?

— წლეულს 9 თვეში რესპუბლიკაში აღირიცხა 1.856 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედეგადაც დაიღუპა 622 და მძიმედ დაშავდა 2530 ადამიანი. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემთხვევათა რიცხვი 462 ერთეულით შემცირდა, გარდაიცვალა 151-ით ნაკლები, დაშავებულთა რაოდენობამ კი 344 ერთეულით იკლო. ამის მიუხედავად, ვითარება გართულდა აჭარაში, ქალაქ ფოთში, ახალგორის, ახალქალაქის, გურჯაანის, ზესტაფონის, სამტრედიის, სიღნაღისა და თერჯოლის რაიონებში, სადაც აღინიშნა ავტოავარიათა ყველა ძირითადი მაჩვენებლის ზრდა.

საგზაო პოლიცია ყოველწლიურად საშუალოდ მოძრაობის წესების მილიონამდე დამრღვევს ავლენს, აქედან 15 ათასამდე ისეთ მძღოლს, რომელიც მთვრალი მართავს ავტოტრანსპორტს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ეძლევა წესების უხეში დამრღვევი 500-მდე მძღოლი (ამ მძღოლების გარდა, რომლებმაც მძიმეშედეგიანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოახდინეს).

— ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რამდენი დარღვევა რჩება პოლიციის ყურადღების მიღმა, ან რამდენი დამრღვევი არ ისჯება მიუტევებელი ლიბერალიზმისა თუ ხშირად უბრალო ანგარების გამო?

— მაშინ ცხადი გახდება, რომ საგზაო მოძრაობის ნებისმიერ მონაწილეს მშვიდობიანი მგზავრობა არა აქვს გარანტირებული. გზაზე ავტოავარიის წარმოქმნის მექანიზმი უაღრესად მარტივია, შედეგი კი უმეტესწილად — უმძიმესი. ამის დამადასტურებელი მაგალითებიც, საუბედუროდ, თითებზე ჩამოსათვლელი როდია.

ამას წინათ, მცხეთის რაიონის სოფელ ძველ ქანდასთან ავტომანქანა „ჟიგული", რომელსაც ნუკრი ღვედიშვილი მართავდა, შეეჯახა „გაზ-24" მარკის ავტომობილს. ამ უკანასკნელმა დაკარგა მართვადობა და მეორე „ჟიგულს" შეეჯახა, ის კი, თავის მხრივ — „ზაპოროჟეცს". ავტოავარიის შედეგად დაიღუპა 7 და მძიმედ დაშავდა 6 ადამიანი.

გორის რაიონის სოფელ ოთარაშენთან „აუდი-80" მარკის ავტომობილი, რომელსაც მართავდა ზესტაფონის კოოპერატ „აისის" თავმჯდომარე მერაბ ხომასურიძე, შეეჯახა შემხვედრ „ჟიგულს". ავტოავარიის შედეგად ორივე ავტომანქანაში დაიღუპა 5 ადამიანი, მათ შორის 6 თვის ჩვილი ბავშვი. მსგავსი მაგალითი უამრავია.

— მოდით, გავაანალიზოთ მოვლენები.

— დიდი სიამოვნებით. ავტოავარია დახურულ დარბაზში როდი ხდება, იგი მოძრაობის სხვა მონაწილეთა თვალწინ — გზასა და ქუჩაში ვითარდება თავისი შემზარავი შედეგითურთ, მაგრამ ყველაზე დასანანი ის არის, რომ ამის შემხედვარე მძღოლს თუ ქვეითს სამომავლოდ სიფრთხილე არ ემატება. გზასა და ტრანსპორტთან ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კი ძალზე ძვირი უჯდება საზოგადოებას. სხვა რომ არა იყოს რა, ეს გარემოება უმძიმეს ტვირთად აწვება საქართველოს ისედაც რთულ დემოგრაფიულ ვითარებას, იწვევს შეუქცევად პროცესებს, აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ერის გენოფონდს. ავტოავარიაში ხომ უმეტესწილად ახალგაზრდები, 25-40 წლის ადამიანები იღუპებიან.

—რასაკვირველია, არც საგზაო პოლიცია გამოირჩევა სრულყოფილებით...

— რა თქმა უნდა. ჩვენდა სავალალოდ, საგზაო პოლიციას სასურველი ავტორიტეტი არ გააჩნია. მხოლოდ სახელწოდების შეცვლა და ყოფილი „კანარეიკების" უცხოური წარწერებით აჭრელება ცოცხალ საქმეს იოტის ოდენადაც არ შველის.

ბევრი, ძალზე ბევრი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საგზაო პოლიციელმა საზოგადოებაში სათანადო ავტორიტეტი მოიზვეჭოს, და ძალზე ბევრი ვალუტაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი სამსახური უახლესი ტექნიკით აღიჭურვოს, ურომლისოდაც დღეს შეუძლებელი ხდება დაკისრებული მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება.

— ეს ასეა, მაგრამ კაცურ სინდისს და შინაგან კულტურას რაღა უდგას წინ? ხომ ფაქტია, რომ მძღოლებისა და წესრიგის დამცველთა ურთიერთობაში ძალზე იშვიათია ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიცაა ურთიერთპატივისცემა, სოლიდარობა, თავაზიანობა, სხვათა ინტერესების გათვალისწინება, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი მგზავრობისათვის.

— დიახ, მოძრაობის წესების დამრღვევთა გამოვლინება არ უნდა გვექცეს თვითმიზნად. მეტი ადამიანური გულისხმიერება და გულთბილობა გვმართებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებთან ურთიერთობაში. უეჭველად უნდა გავიცნობიეროთ, რომ წესრიგის დარღვევებს, მის მასობრიობას საზოგადოდ სოციალური სარჩული უდევს საფუძვლად. საჭესთან მჯდომ ჩვენს თანამემამულესაც, განაწამებ და დაღლილ მოქალაქეს ქვეცნობიერად ათასგვარი დარდი და საფიქრალ-საზრუნავი აფორიაქებს, რაც უნებურად თიშავს და ფანტავს მის ყურადღებას, იწვევს უხეშ შეცდომებს საგზაო მოძრაობაში. ამით ის მინდა ვთქვა, რომ აუცილებელია მეგობრულ ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემას, ურომლისოდაც ძალზე ძნელი იქნება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე სერიოზული საუბარი. სწორედ ამ კომპონენტთა ერთობლიობას გულისხმობს ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი, რომელიც აუცილებელია იმიტომაც, რომ პოლიციის სამსახურს, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ უშუალო მოვალეობათა გარდა, ხშირად უხდება სხვა ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელებაც.

საგზაო პოლიცია და ჩვენ

მაგალითად, საგზაო პოლიციის ცალკეული ბატალიონის მოტორიზებული ოცეულის თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით მიმდინარე წლის 9 თვეში გამოვლენილია სისხლის სამართლის 150-მდე დანაშაული, დაკავებულია 20 გატაცებული ავტომანქანა 30 გატაცებულთან ერთად, აგრეთვე 27 პირი ყაჩაღობის ფაქტზე, 6 პიროვნება კი ქურდობის ფაქტზე. მოძრაობაზე ზედამხედველობის პროცესში ამოღებულია დიდძალი რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერებები და სხვა.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ამ ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელებისას საგზაო პოლიციის არაერთმა თანამშრომელმა სიმამაცე და პირადი გულადობა გამოიჩინა. წლეულს 14 აგვისტოს ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკასთან დაუდგენელმა დამნაშავეებმა ყაჩაღურად წაართვეს „გაზ-24" მარკის ავტომანქანა ქ. ლენინაკანში მცხოვრებ მოქალაქეს. „მესხეთის" მოტორიზებული ოცეულის თანამშრომლებმა ნ. ღონიაძემ, გ. იფანიძემ, მ. კარაპეტიანმა და ხ. ბერძენიშვილმა დააკავეს დამნაშავეები და ნინოწმინდის შინაგან საქმეთა განყოფილებას ჩააბარეს.

სექტემბერში სამტრედიის რაიონის „ცხენისწყლის" საგუშაგოს რაიონის მოტორიზებული ოცეულის მეთაურმა გ. იაშვილმა, ოცეულის თანამშრომლებმა გ. ახვლედიანმა, დ. ესვანჯიამ და ნ. ქორიძემ დააკავეს ყაჩაღური ბანდა, რომლისგანაც ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

რაღა თქმა უნდა, ამის გაკეთება დაკავშირებულია დიდ რისკთან. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ტრაგიკული მოვლენების მოწმენიც ვხდებით. უკეთურებთან ბრძოლაში მტრის ტყვიამ ამსხვერპლა წალკის შს განყოფილების საგზაო პოლიციელი ვიტალი პარასკევოვი, ახალგორის საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი ტრისტან ტატიშვილი. ბანდიტებთან დაპირისპირებისას დაიჭრნენ ბოლნისის საგზაო პოლიციის უფროსი ვაჟა კაპანაძე, საგზაო საპატრულო სამსახურის თანამშრომელი ომარ ქორიძე და სხვები.

ჩვენ თავს ვხრით მტრის ტყვიით განგმირული კოლეგების ნათელი ხსოვნის წინაშე. ისინი დაიღუპნენ როგორც პოსტზე მდგომი ჯარისკაცები საქართველოს მთლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათი სახელები დავიწყებას არ მიეცემა.

როცა საგზაო პოლიციის სამსახურის სირთულეებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ჩვენს კომპეტენციაში სხვა ორგანიზაციების შეუთანხმებელი ჩარევის საკითხიც. საქმე ეხება სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებას, რომელთა განწესებს ხშირად ნახავთ საგზაო პოლიციის საგუშაგოებზე და რომლებიც თავიანთი დილეტანტობით, არც თუ იშვიათად, დახმარების ნაცვლად დათვურ სამსახურს უწევენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს. ამ დროს, რასაკვირველია პოლიცია ფაქტობრივად თმობს პოზიციებს და ავტოტრანსპორტის მოძრაობაც მოკლებულია სათანადო ზედამხედველობას. ცხადია, ამგვარ ვითარებას საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი.

— კიდევ რა გიშლით ხელს მუშაობაში?

— ზოგჯერ ჩვენს გამიზნულ მუშაობას აფერხებს ზემდგომი ორგანოების მიერ ნაჩქარევად მიღებული დადგენილება, რასაც უმალვე ადასტურებს კიდეც ჩვენი გზებისა და გზაჯვარედინების სინამდვილე. მაგალითად, გარკვეული სირთულეები შეუქმნა საგზაო პოლიციის სამსახურს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის დადგენილებამ ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებმა არ უნდა შეზღუდონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტვირთის თავისუფალი გადაადგილება, უნდა აიკრძალოს სატრანსპორტო და სხვა საშუალებათა მიერ გადაზიდული ნებისმიერი ტვირთის დაკავება და ამოღება, გადასაზიდი ტვირთისათვის რაიმე საბუთების მოთხოვნა.

ამ დადგენილებამ, ცხადია, შებოჭა საგზაო პოლიციის მოქმედება და ხელ-ფეხი გაუხსნა სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებს, რომლებმაც, ეჭვგარეშეა, ამ ხელშეუხებლობის ფირმანს ამოფარებულებმა, არაერთი და ორი ტონა ტვირთის უკანონოდ გადაზიდვა მოახერხეს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი დადგენილების მიუხედავად ხშირად თითს უქნევენ სწორედ საგზაო პოლიციას: რესპუბლიკის ტრასებზე უკანონო საქონლით დატვირთული ავტომანქანების შემოწმება ფორმალურად და ზერელედ ხდება! მსგავსი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ბატონმა არჩევან ლომიძემაც ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილში — „ცოტაც და გავერანებული საქართველო შეგვრჩება", სადაც საუბარია ავტომანქანებით თურქეთში ხე-ტყის გატანის ფაქტებზე.

ჩვენ ძალზე მოკლედ შევეხეთ საგზაო პოლიციის სამსახურის წინაშე მდგომ ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხს. რასაკვირველია, სირთულეები გაცილებით მეტია, რომელთა მოგვარებისათვის თვისებრივად ახალი მიდგომა გვმართებს.

თავდაპირველად—განაწილება

იუზა აბესაძე,
ჟურნალ „ეკონომიკის" რედაქციის მრეწველობის, მშენებლობის და ტრანსპორტის განყოფილების რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ისტორიისთვის დღემდე ცნობილი ყველა წინანდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებისაგან სოციალისტური ფორმაციის მთავარი პრინციპული განსხვავება მდგომარეობს წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრების არსებობაში.

ვინაიდან აღნიშნული ქონება რეალურად მთელი საზოგადოების ერთობლივი კუთვნილებაა (რაც იურიდიულადაც განმტკიცებულია) და მოსახლეობის აუნაზღაურებელი შრომის შედეგადაა შექმნილი, მისი პრივატიზაციის დაწყება, რა თქმა უნდა, აუცილებელია თითოეული ადამიანის კონკრეტული წილის განსაზღვრით და, ბუნებრივია, მოქალაქეებზე ამ წილის უსასყიდლოდ გადაცემით. აღნიშნული ქონების უამისოდ გაყიდვა-პრივატიზების დაწყების აბსურდულობა კი აშკარაა — თუნდაც იმიტომაც, რომ თავის მესაკუთრე ხდება მყიდველი. ბოლოსდაბოლოს, არც იმის გარკვევაა რთული და დიდი მეცნიერული ანალიზი ნამდვილად არ ჭირდება, რომ დავრწმუნდეთ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებულ წარმოების საშუალებათა გაყიდვის აქტის ტექნიკურ განუხორციელებლობასა და სრულ თეორიულ უაზრობაში. ეს თვალნათლივ ჩანს თუგინდ ფულის მიმოქცევის კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარეც. აქ ჩვენ აღარ ვჩერდებით საერთოსახალხო საკუთრების გაყიდვის საწინააღმდეგოდ ხშირად გამოთქმულ სხვა მოსაზრებებზე, რომლებსაც საზოგადოებრიობა იცნობს.

მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ მთავარ საკითხს — მოსახლეობის სამართლებრივ დაცვას, რაზეც ჩვენი მართლმსაჯულება უნდა გაისარჯოს და რისთვისაც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. კერძოდ, ხალხის საერთო საკუთრების წინასწარ გაუნაწილებლად გაყიდვა სინამდვილეში იქნება მის მიმართ ჩადენილი ძალადობა, ადამიანის საკუთრების უფლების (რასაც საერთაშორისო სამართალიც იცავს) და საერთოდ სამართლის უპასუხისმგებლო ხელყოფა, უხეში მართლსაწინააღმდეგო ქმედობა. ამიტომ, გასაგებია, იგი პირველ რიგში სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლებამ — როგორც ქვეყანაში სამართლის დაცვის ორგანომ — უნდა აღკვეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა იძულებული გახდება თვითონ დაიცვას აღნიშნული საკუთრებითი ურთიერთობის კონსტიტუციური ნორმა, რასაც მოჰყვება სოციალური დაძაბულობის უკიდურესი გამწვავება, კატასტროფული ეკონომიკური და მეტად საშიში, ობიექტურადაც განპირობებული, კრიმინოგენული შედეგები.

მთელი საზოგადოების საერთო საკუთრების პრივატიზება ჩვენი სახელმწიფოს ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად ორიგინალური ამოცანაა, რომლის დასაბუთებული გადაწყვეტის პრაქტიკული გამოცდილება მსოფლიოში არ არსებობს. კაპიტალისტურ ქვეყნებში მიღებული სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის მეთოდოლოგიის ჩვენს პირობებში გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან სახელმწიფო საკუთრების ჩვენეული და მათეული არსი ძირეულად განსხვავებულია. რაც მთავარია, კაპიტალისტური სახელმწიფოს საკუთრება, სოციალისტურისაგან განსხვავებით, მთელი მოსახლეობის კუთვნილება არ არის. ეს გამომდინარეობს ოფიციალურად დაწესებული შრომის ანაზღაურების, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების სხვა პრინციპებიდან. ამდენად, ქვეყნის მასშტაბით განსაზოგადოებული წარმოების საშუალებათა, როგორც ხალხის საერთო ქონების, პრივატიზაციის საწყისი ფაზა, აუცილებლად განაწილება უნდა გახდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განაწილების პროცესი, პრივატიზაციის ეს საწყისი და ყველაზე მთავარი ფაზა, ურთულესი მეცნიერული პრობლემაა. მისი გადაწყვეტა მრავალვარიანტულია და აუცილებლად შესაბამისმა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა უნდა დამუშაონ. აქ ბევრი საკითხია გასარკვევი და ჯერჯერობით ისინი მოითხოვს როგორც ეკონომიკურ, ისე იურიდიულ შესწავლას, სრულიად ახლებურ მეთოდურ მიდგომას. საბოლოოდ პრივატიზების პრობლემაზე შემუშავებული გადაწყვეტილება კი გარდუვალად საჭიროა ერმა მიიღოს. საერთო სახალხო საკუთრების როგორც ფლობისა და გამოყენების, ასევე განკარგვის უფლებაც ხომ მთელ მოსახლეობას ეკუთვნის. ამ უფლების დაცვის გარანტირება სახელმწიფო (პირველ რიგში სასამართლო) ხელისუფლებას ევალება.

ზამთრის პირას

„ელექტროშედუღება" — ორიენტირი ბაზარზე

რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში გაგზავნეს ელექტროსახურებლების „ალის" პარტია, რომლის გამოშვება დაიწყო თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღებამ". როგორც საწარმოს დირექტორმა თამაზ მხეიძემ თქვა, ამ კომპაქტური სამარჯვების გამოშვება გაფართოვდება, თუ ქარხნის პარტნიორები რუსეთიდან დაფარავენ სადებიტორო დავალიანებას.

ქარხანა ელექტროენერგიის დეფიციტის, ნედლეულის მომწოდებლებთან დარღვეული კონტაქტების პირობებშიც კი ცდილობს მოაგვაროს წარმოება და შეძლებისდაგვარად გააფართოოს პროდუქციის ასორტიმენტი. აქ ახლახან დაიწყო ახალი ინდივიდუალური შესადუღი აპარატის გამოშვება.

სურათებზე: მარინე აშოთია ტდმ-203 ახალ ელექტროშესადუღ აპარატთან; სახალხო მოხმარების საქონლის საამქროს უფროსი ნოდარ ჯოხაძე და ამწყობი ნინო ბეჟანიშვილი; მზა პროდუქცია სავაჭრო ქსელში გაგზავნის წინ.



ვანო შამანაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია

დრო გადის!
თქვენი დანაზოგი მანეთი კი დღითი-დღე კაპიკს უტოლდება!

გამოიყენეთ თქვენი ფულის გადარჩენის შანსი, შეიძინეთ საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის აქციები. და მას ვერც რეფორმა და ვერც ინფლაცია ვერ დაემუქრება, რადგანაც თქვენს ფულს ჩვენ რეალურ უძრავ და მოძრავ ქონებად ვაქცევთ!

გაინტერესებთ რას მოიგებთ კიდევ თუ ჩვენი აქციონერი გახდებით?

— თქვენ შეიძენთ დამატებით შემოსავლის წყაროს ხელფასების და პენსიების გარდა.
— თქვენ გახდებით 2 მილიარდი მანეთის პრივატიზებული ქონების თანამესაკუთრე, მისი მართვის სრული უფლებით.
— თქვენი აქციის კურსი უძრავი ქონების ფასის ზრდასთან ერთად გაიზრდება.

მაღალი დივიდენდების მიღება ჩვენთან გარანტირებულია არა არასტაბილური სავაჭრო ოპერაციებით, არამედ მყარი უძრავი ქონების ეფექტურად ამუშავებით!

მაშ ასე, თუ გსურთ შეიქმნათ კაპიტალი და დაუტოვოთ იგი შვილებს შეიძინეთ საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის აქციები როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე გადარიცხვით ინდექსირებული და არა მარტო ინდექსირებული თანხებით.

აქციების ღირებულება 1.000 მანეთია.
იყიდება 50.000 და 100.0000 მანეთის პაკეტის აქციები.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
ა/ა N000606605 საქმრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში, კოდი 521921.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 11.
ტელეფონი: 22-04-16, 22-26-07.

გახსოვდეთ! დოლარივით მყარი მხოლოდ უძრავი ქონებაა!

ყველა დაინტერესებულ პირს და ორგანიზაციას სთავაზობს ინგლისური, ფრანგული, გერმანული, პოლონური ენების შესწავლას სამთვიანი, ექვსთვიანი, ერთწლიანი პროგრამით, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად, სწავლის ფასი ჩვენთან ყველაზე ხელმისაწვდომია, შეიძლება მასწავლებლის მიწვევა ორგანიზაციაში, სწავლა დაიწყება 1 დეკემბერს.

— აგრეთვე წერითი და ზეპირი თარგმანების შესრულებას უცხოური ენებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ქართულ და რუსულ ენებზე და პირიქით.

— ფაქსით, ტელექსით, ტელეტაიპით, ტელეფონით, ქსეროქსით მომსახურებას უცხოელ პარტნიორებთან კავშირის დასამყარებლად.

მოგემსახურებიან სპეციალისტები, რომელთაც აქვთ საზღვარგარეთ მუშაობის და უცხოელებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება.

საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ტურისტული გაერთიანება

«ძველი ინტურისტი»

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-06-64, 93-07-64;
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, რკინის შესახვევი №6, მეტეხის ხიდთან. „ძველი ინტურისტი"

— „ძველი ინტურისტი" გთავაზობთ აგრეთვე მონაწილეობას უმაღლესი დონის კონფერენციაში „ტურიზმის ბიზნესი, ნიუ-ორკი, აშშ", რომელიც გაიმართება 1992 წლის 11-18 იანვარს, ვიწვევთ ტურისტული ფირმების, კომპანიების, ასოციაცების, ბანკების, სასტუმროების, რესტორნების ხელმძღვანელ მუშაკებს და სპეციალისტებს.

— გიშუამდგომლებთ გამოიწეროთ ჟურნალი „ტურისტული ინფორმაციის ბიულეტენი" (გამოდის წელიწადში ექვსჯერ), რომელშიც გაეცნობით საზღვარგარეთის ტურისტული ბაზრების საქმიანობას, საზღვარგარეთ მოგზაურობის პირობებს.

MicroAge®

ამერიკული ფირმა

გთავაზობთ შეიძინოთ:

- პერსონალური კომპიუტერი PC AT - 386SX;
- პერსონალური კომპიუტერი IBM PS - 1;
- ლაზერული პრინტერის კეტრიჯები;
- ALPS AMERICA ფირმის პრინტერები;

მისამართი: თბილისი, ინჟინრის ქ. 8;
ტელეფონი: 99-77-12.

თბილისის გამოყენებითი ეკოლოგიის სასწავლო

ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წელს დღის სწავლების ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

I. აგროეკოლოგიის ფაკულტეტზე:
1. აგროეკოლოგი
2. მეტყევე ეკოლოგი

II. სამრეწველო ეკოლოგიის ფაკულტეტზე:
1. საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგი
3. უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგი
4. ზოოინჟინერ-ეკოლოგი

ჩარიცხვა მოხდება ბიოლოგიაში, ქართულ ენასა და ქიმიაში გასაუბრების საფუძველზე.

სწავლა ფასიანია, ხანგრძლივობა - 5 წელი. წარჩინებული სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია სტაჟირება კანადასა და ავსტრიაში.

საბუთების მიღება ყოველდღე 1992 წლის 10 დეკემბრამდე სწავლა დაიწყება 1993 წლის 5 იანვარს.

ინსტიტუტის მისამართები:
ქ. თბილისი 380017. ზაჰესის დასახლება, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის შენობა.
ტრანსპორტი: ავტობუსი № 70 მეტრო „დიდუბის" ქვედა სადგურიდან, გაჩერება „მეფუტკრეობა"; ავტობუსი № 9 და სამარშრუტო ტაქსი № 12 მეტრო „გურამიშვილის გამზირიდან".
ტელეფონები: 62-46-45, 62-36-57, 62-46-08
ან ქ. თბილისი 380062. ი. ჭავჭავაძის პრ. 82, საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა.
ტელ: 22-34-06.
ტრანსპორტი: ტროლეიბუსები № 7, 9. ავტობუსი № 27, გაჩერება „ტურბაზა" -რექტორატი-

---

ფირმა „ნატვრისთვალი"

აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობის დასაკავებლად:

1. კომერციული დირექტორი - 1 ს/ე (მუშაობის გამოცდილებით);
2. ვიცე-პრეზიდენტი - 2 ს/ე
3. გერმანული - იტალიური - ესპანური - ინგლისური ენების სპეციალისტები - 1 ს/ე
4. ტურისტული ჯგუფების განყოფილების გამგე - 1 ს/ე (მუშაობის დიდი გამოცდილებით).
5. იურისკონსულტი - 1 ს/ე.

კონკურსის ვადა გამოქვეყნებიდან ერთი კვირა.

ფირმა

„ნატვრისთვალი"

მისამართი: ქ. თბილისი,
ალ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) ქუჩა 32/34,
საშენ მასალათა ინსტიტუტი II-სართული,
ოთახი 68. ტელეფონი: 39-69-46

თქვენ თუ გსურთ აიხდინოთ ბავშვობის ოცნება და ნახოთ მსოფლიო, გვესტუმრეთ ჩვენ!

ფირმა „ნატვრისთვალი"

გთავაზობთ საშობაო, საახალწლო მოგზაურობას თბომავალ „ესტონიათი" შემდეგ ქვეყნებში:
20 დეკემბრიდან — 15 იანვრამდე: ბათუმი — სტამბული — ხაიფა — მილინია — ვალეტა — მარსელი — ჩივიტავეკია — როდოსის კუნძულები — მალაგა — ლას-პალმასი — ბათუმი. დგომა ყველა ქვეყნებში 2 დღე. თბომავალზე იმუშავებს დოდო შენგელიას ცნობილი სამზარეულო.

თბომავალი „კონსტანტინე სიმონოვი" (მანქანის ჩამოყვანით). 7-21 იანვრამდე — სანკტ-პეტერბურგი — გერმანია (ლიუბეკი - 2 დღე) — ნიდერლანდები (ამსტერდამი - 2 დღე) — შვეცია (სტოკჰოლმი - 2 დღე) — სანკტ-პეტერბურგი.

იჩქარეთ! ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.
საბუთების მიღება მხოლოდ 22 ნოემბრამდე.

ყველა თბილისელი გოგო ლამაზია!

თბილისელი
გოგოები

კონცერნი „იბერვიზია",
გაზეთი „8 1/2",
ფირმა „მაგია 7",
ფირმა „ვექსილი",
ფოტოსტუდია „FALCON"-ი
აცხადებენ კონკურსს
„თბილისის ფოტომოდელი"

კონკურსში გამარჯვებულ 12 გოგონას გადაეცემათ პრიზები. პირველ სამ გოგონას - 50000 მანეთი თითოეულს. გამარჯვებული გოგონების ფოტოები გამოქვეყნდება ალბომში „თბილისელი გოგოები", რომელიც ავსტრიაში დაიბეჭდება.

შემდეგ კი... ფოტომოდელის, მანეკენის კარიერა, იქნებ მსოფლიოს საუკეთესო მოდელიორებთან...
თქვენი მომავალი თქვენს ხელშია!

გოგონებო, მიმართეთ ფოტოსტუდია „FALCON"-ს მისამართით:
თბილისი, კოსტავას 35; ტელეფონი 98-85-70

ხელოვნების მენეჯერთა უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური და გერმანული ენების დაჩქარებული მეთოდით სწავლების ოთხთვიან კურსებზე მსურველთა მიღებას.

კურსებზე ისწავლება სასაუბრო ენა საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად უცხოეთში ყოფნისას, მუშაობისა და უცხოელებთან ურთიერთობისათვის.
სწავლა ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებში აპრობირებული მეთოდიკის გათვალისწინებით, რომლებსაც წარმართავენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.
კურსის მთლიანი ღირებულება 4.000 მანეთი. მეცადინეობა დაიწყება 2.XII.

კურსების მისამართია:
ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. 17,
მე-4-ე საშუალო სკოლის შენობაში.

თქვენ გაქვთ შანსი გახდეთ ავსტრიული ფირმის წარმომადგენელი საქართველოში

თუ გაქვთ უმაღლესი განათლება, ხართ 45 წლამდე ასაკისა, გაქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და გაიარეთ სპეციალურ 7 თვიან კურსს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მართვაში. პროგრამა მომზადებულია ავსტრიის სავაჭრო პალატის, ავსტრიის ეკონომიკის განვითარების ინსტიტუტისა და თბილისის მენეჯერთა სკოლის მიერ. სასწავლო პროცესს ქართველი და ავსტრიელი სპეციალისტები გაუძღვებიან.

სასწავლო პროგრამის წარმატებით დაუფლებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში თქვენ სწავლას ავსტრიაში გააგრძელებთ. ავსტრიის ეკონომიკის განვითარების ინსტიტუტში საბოლოო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიიღებთ კიდევ ერთ სერტიფიკატს და შესაძლებლობას ინდივიდუალური სტაჟირება გაიაროთ ფირმაში, რომლის წარმომადგენლადაც თქვენ შეიძლება დაბრუნდეთ საქართველოში.

საბუთები მიიღება 25 ნოემბრამდე, 10-დან 18 საათამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებისა და ტესტირების საფუძველზე. სწავლა დაიწყება 1 დეკემბერს. მეცადინეობები მოეწყობა კვირაში 4-ჯერ, საღამოს საათებში. სწავლა და სტაჟირება ფასიანია.

ცნობებისათვის დარეკეთ:

39-16-73, 39-44-57,
37-55-16, 39-34-61

ჩვენი მისამართია:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40,
თბილისის მენეჯერთა სკოლა.

გზა წარმატებისაკენ!

მხოლოდ ერთი მილიონი და არც ერთი ცენტით მეტი!

ამირანი

დღესაც... და XXI საუკუნეშიც

აქციაში, რომელსაც თქვენ შეიძენთ, დივიდენდს მყარი ვალუტით გადაგიხდით, გარანტირებული წლიური დივიდენდი სულ ცოტა 60 პროცენტია, მოსალოდნელი-100 პროცენტი.

ჩვენი აქცია 10 წლის განმავლობაში მოქმედებს. ამ ფასიანი ქაღალდის მფლობელნი რეგისტრირებული იქნებიან კომპიუტერულ სადეპოზიტაროში, (საიდუმლოების დაცვა გარანტირებულია), ხელზე კი მიიღებენ ქვითარს, მოწმობას აქციის მფლობელობის შესახებ, რომლის გაყიდვა შეიძლება საფონდო ბირჟაზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის და ხელშეკრულებების დასადებად მიმართეთ კონცერნ „ამირანის" წარმომადგენლობას მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 72. ტელეფონი: 30-45-89.

ჩვენ ერთი მილიონი გვჭირდება, თქვენ სულ 10 დოლარს აბანდებთ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ 1993 წელს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურა და სისტემები: მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა; საინფორმაციო საზომი ტექნიკა; ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში: გამოთვლითი მანქანები, კომპლექსები, სისტემები და ქსელები; ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები; ელექტრონულ გამომთვლელ საშუალებათა კონსტრუირება და ტექნოლოგია). შემსვლელები მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში:

მათემატიკა (წერა): მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ხოლო მესამე საგანს შემსვლელი აირჩევს სურვილის მიხედვით შემდეგი საგნებიდან: ფიზიკა (ზეპირი); ქიმია (ზეპირი); ინფორმატიკა (წერა); ხაზვა; უცხო ენა (ზეპირი - და აქ რუსული ენა არ იგულისხმება).

რექტორატი.

მეანაბრეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა გაცნობებთ, რომ რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 27 ოქტომბრის №1016 დადგენილებით 1992 წლის 1 ოქტომბრიდან გაუქმებულია საქართველოს რესპუბლიკის შემნახველ ბანკებში არსებული მომგებიანი ანაბრები და ფულისა და ნივთების მომგებიანი ანაბრები.

აღნიშნული ანაბრები 1992 წლის 1 ოქტომბრიდან ჩაითვლება, როგორც მოთხოვნამდე ანაბარი და გაიცემა მასზე სარგებელი წლიურის 5 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა.

ორგანიზაცია იყიდის

საქვაბეს სიმძლავრით 8-10 ტონა სთ-ში.

ორგანიზაცია ყიდის

ჰაერის კომპრესორს სიმძლავრით 120 კბ.მ/სთ-ში. მარკა 1-კმ-ფ.

ტელეფონები:
29-30-61, 41-55-00

სატრანსპორტო ფირმა

«გლობუსი»

სთავაზობს



ორგანიზაციებს და კერძო პირებს სატრანსპორტო მომსახურებას.
ნებისმიერი სახისა და რაოდენობის ტვირთის გადატანას, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ასევე რესპუბლიკის გარეთ. კერძოდ, დსთ-ს ქვეყნებში, თურქეთის ნებისმიერ ქალაქამდე, საბერძნეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

ტვირთის გადატანა მოხდება დროულად, ჩვენი მომსახურებით თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 76,

ტელეფონი: 29-49-82, 29-49-83, 29-26-76;
ტელექსი: 21 23 16, „ბებო სუ"



თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტში

1993 წლის მისაღები გამოცდები მოეწყობა ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

— საგარეოეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
2. მათემატიკა (ზეპირი)
3. უცხო ენა (ზეპირი)

- კომერციული საქმიანობის მენეჯერი და მასობრივი კვების ტექნოლოგ-კომერსანტი
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
2. მათემატიკა (ზეპირი)
3. ქიმია (ზეპირი)

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

ვისაც სურვილი აქვს მოემზადოს უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, მიაკითხეთ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯს.

იქ თქვენთვის იხსნება მცირერიცხოვანი მოსამზადებელი ჯგუფები, სწავლის პროცესს წარმართავენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან მოწვეული პედაგოგები. თითოეულ საგანში მომზადების ღირებულება 5 ათასი მანეთია.

კოლეჯის მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის ქ. 16
88-ე საშუალო სკოლის შენობა. (მეტრო „ვაგზალი") ტელეფონი: 74-29-55

იჩქარეთ!

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვებს რუსეთიდან საქართველოში 5 %-იანი დათმობით. თუ გაქვთ გადმოსარიცხი თანხა რუსეთიდან საქართველოში, დაგვიკავშირდით ტელეფონებით:

ქ. თბილისში - 36-09-29,
- 36-27-74,
- 95-45-94, ავტომოპასუხით
ქ. მოსკოვში - 350-81-00

ყოველკვირეული სარეკლამო გაზეთი

Forma
ALL RIGHTS RESERVED

სარეკლამო სააგენტო „ფორმა".
ტელ: 99-86-96

დაარსდა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების ფონდი!

ქალბატონებო და ბატონებო!

ზედმეტია იმის შეხსენება, თუ რა ადგილი უჭირავს ბიბლიოთეკას საზოგადოების ცხოვრებაში. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ერის კულტურა. მისი გადარჩენა ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის შენარჩუნების ტოლფასია.

მას განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება.

სამწუხაროდ დადგა დრო, როდესაც ჩვენი ერის ძვირფასი საუნჯე მოითხოვს შველას. შენახვის ელემენტარული პირობების (მიკროკლიმატი და სხვა) უქონლობის გამო განადგურების პირასაა ბეჭდური და ხელნაწერი პროდუქციის უნიკალური ფონდი. მაგალითად, IX-X საუკუნის ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლი, ლაგურკის ლექციონარი, იძულებული ვართ დავიცვათ ხელნაწერთა ინსტიტუტში. მწირი ტექნიკური აღჭურვილობა საშუალებას არ იძლევა აღვადგინოთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად დაცული იშვიათი გამოცემები, უსახსრობამ მკვეთრად შემცირა ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შემოტანა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენენ ჩვენს ტრადიციულ პარტნიორებს ამ საქმეში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა იმ ლიტერატურის შემოტანის საკითხში, რომელიც ვალუტით შემოდიოდა უცხოეთიდან. ყველაფერი ეს აფერხებს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ ცოდნის მიღებას. ინფორმაციულ ვაკუუმში აყენებს ჩვენს მეცნიერებს, კიდევ უფრო ავიწროებს სულიერი განვითარების ბაზას, ზოგადი თვალსაზრისით კი აფერხებს ჩვენი ქვეყნის საერთო წინსვლას.

კუსტარული წესით უხდება მუშაობა ბიბლიოთეკის ისეთ თანამედროვე დარგს, როგორიც არის საინფორმაციო მომსახურება. არა და ამ სფეროში, ბიბლიოთეკას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ხელისუფლების მართვის სტრუქტურებისათვის.

სავალალო მდგომარეობაშია ბიბლიოთეკის შენობებიც, რომლის ფონდები მისი დაუცველობის გამო, უკვე რამდენჯერმე გახდა უკეთური ადამიანების ხელყოფის მსხვერპლი.

ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო, სახელმწიფო ვერ უწევს სათანადო დახმარებას ბიბლიოთეკას. მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად ჩვენ მივიჩნიეთ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების ფონდის შექმნა, რომელსაც მხარში უნდა ამოუდგეს მთელი საზოგადოება, მოსახლეობის ყველა ფენა. ამიტომ მივმართავ საქართველოს მოქალაქეებს ფინანსური და მატერიალური დახმარება გაუწიონ ჩვენს საერთო სიმდიდრეს, გადაარჩინონ იგი მომავალი თაობებისათვის. განსაკუთრებით მინდა მივმართო ჩვენს საქმიან წრეებს, რომელთა საქველმოქმედო საქმიანობაზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი კულტურის მომავალი. რომ არაფერი ვთქვათ მათ პატრიოტულ მოვალეობაზე, ამგვარი ქველმოქმედება მეტ ავტორიტეტს შემატებს მათ საქმიანობას.

ამ ბოლო ხანებში ხელისუფლებამ წამოაყენა კულტურის განვითარების ფართომასშტაბიანი გეგმა, სახელდობრ შეიქმნა ქართული კულტურის გადარჩენის საზოგადოება. ჩვენი აზრით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში კულტურისადმი ხელშეწყობის ერთ-ერთ ფორმად გამოდგებოდა ამგვარი ფონდების განთავისუფლება ყოველგვარი გადასახადისაგან, ჩვენს შემთხვევაში კი ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების ფონდის განთავისუფლება ყოველგვარი გადასახადისაგან.

მივმართავთ თხოვნით ახლად არჩეულ პარლამენტს და მთავრობას დადებითად გადაწყვიტონ ეს საკითხი.

ჩვენი რეკვიზიტებია:
კომერციული ბანკი „გულანი“ ანგარიშის ნომერი: 70000010
საკორესპონდენტო ანგ. №700161911
საქ. ეროვნული ბანკი მფო (კოდი) - 522889 სავალუტო ანგ. - 67080156
საქ. ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების ფონდი

დღეისათვის ამგვარი შემოწირულობა გაიღეს: გმირი ქართველი გოგონას, თამარ ჭოველიძის დედ-მამამ — პირადი დანაზოგი - 3000 მანეთი.

კომერციულმა ბანკმა „გულანმა“ (ყოფილმა „ქართლმა“) - ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ერთი კომპიუტერი.

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ (ყოფილმა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკამ) - უსასყიდლოდ გადასცა ერთი კომპიუტერი.

ჯოზეფ დევისმა - რიგითმა ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა, საქართველოს თაყვანისმცემელმა - 50 დოლარი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების ფონდის პრეზიდენტი.

ალკოჰოლიანი სასმელების დამამზადებელი და ჩამოსასხმელი კოოპერაციული და სახელმწიფო საწარმოების, ფირმებისა და ასოციაციების

საყურადღებოდ!

ღვინის მრეწველობის სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ცენტრი არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მოგიმზადებთ დოკუმენტაციას და ყველა საჭირო მასალებს ალკოჰოლიანი სასმელების სახელმწიფო ლიცენზიის გასაფორმებლად და გაგიწევთ ქმედით დახმარებას ლიცენზიის მიღების პროცედურაში.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის პროსპექტი №76
(მეტროს სადგურ გურამიშვილთან). ტელეფონი: 62-56-89

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ 1993-1994 სასწავლო წელს მისაღები გამოცდები მოეწყობა სპეციალობის მიხედვით შემდეგ საგნებში:

— მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორი) - მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (წერა), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— ფიზიკა (ქართული და რუსული სექტორი), რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (ქართული და რუსული სექტორი), მიკროელექტრონიკა და ნახევრადგამტარული ხელსაწყოები, ფიზიკური ინფორმატიკა - ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა, ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— გეოგრაფია, ხმელეთის ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია, მეტეოროლოგია - მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— სასარგებლო ნამარხების ძიების გეოფიზიკური მეთოდები - მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— მანქანათმშენებელი წარმოების ეკონომიკა და მართვა, სამშენებლო ეკონომიკა და მართვა, შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა სამრეწველო საწარმოებში, ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები, ეკონომიკური კიბერნეტიკა, კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა, კვების მრეწველობის წარმოების ეკონომიკა და მართვა - მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა და მართვა, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა - მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— ბიოლოგია, ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა - მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— ფსიქოლოგია - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა - ზეპირი), ბიოლოგია (წერა).

— პოლიტიკური ეკონომიის და საბაზრო ეკონომიკის თეორია, მაკროეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, წარმოების ეკონომიკა და მართვა, შრომის ეკონომიკა და ორგანიზაცია, აღრიცხვა და კონტროლი, ეკოლოგიის ეკონომიკა, ეკონომიკა და მართვა სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმიანობა - მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა, არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა - მათემატიკა (წერა, ზეპირი), ქიმია (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

— საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები - მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (წერა), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) - ზეპირი, საქართველოს ისტორია (ზეპირი).

— საერთაშორისო სამართალი - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), სამართალმცოდნეობა (წერა), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) - ზეპირი.

— სამართალმცოდნეობა - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სამართალმცოდნეობა (წერა).

— ისტორია, პოლიტოლოგია - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (წერა), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

— ხელოვნების ისტორია და თეორია - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ხელოვნების ისტორია და თეორია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი) უცხო ენა (ზეპირი).

— ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ესპანური ენა და ლიტერატურა, - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

— ფილოსოფია, სოციოლოგია, თეოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, იბერიულ-კავკასიური ენები (ქართული და რუსული სექტორი), რუსული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა, არაბული ენა და ლიტერატურა, ებრაული ენა და ლიტერატურა, სპარსული ენა და ლიტერატურა, თურქული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა, არაბული ქვეყნების ისტორია, ირანის ისტორია, თურქეთის ისტორია, ასირიოლოგია, ჟურნალისტიკა (ქართული და რუსული სექტორი) - მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

რუსული ენა და ლიტერატურა - ქართული ენა და ლიტერატურა - არაქართული სკოლადამთავრებულთათვის: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), წაკითხულის შინაარსი, საქართველოს ისტორია (ზეპირი). ქართული სკოლადამთავრებულთათვის: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

— საერთაშორისო ჟურნალისტიკა - ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (გარდა რუსული ენისა) - ზეპირი, საქართველოს ისტორია (ზეპირი).

შენიშვნა: ჟურნალისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობებზე გაიმართება შემოქმედებითი კონკურსი. კონკურსზე დაიშვებიან ის აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ არანაკლებ ხუთი პუბლიკაციისა, ან ტელე-რადიოგადაცემისა.

მიმღები კომისია.

ფირმა "უნისონი"

ფირმა "უნისონი" გთავაზობთ თქვენი რეკლამის განთავსებას საქართველოს აეროპორტებსა და თვითმფრინავებში, პორტებსა და გემებზე, თბილისის მეტროპოლიტენსა და საქალაქო ტრანსპორტზე.

ფირმა "უნისონი"-ს საშუალებით თქვენი რეკლამა შემოივლის მთელ მსოფლიოს!

გახსოვდეთ! რეკლამა ტრანსპორტზე – ყველაზე იაფი.

ხანგრძლივი და მომგებიანია თქვენი ბიზნესისათვის!

380008, თბილისი, რესპუბლიკის მოედანი №1,
სასტუმრო „ივერია“, I სართული, ოთახი 120.
ტელეფონი: 93-05-00, ფაქსი 98-96-39

მოსწავლეების, აბიტურიენტების და მათი მშობლების საყურადღებოდ!

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის

«სპეცფაკულტეტი»

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას მოსამზადებელ ჯგუფში

იურიდიული განყოფილების სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე

მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან აბიტურიენტები და გამოსაშვები კლასის მოსწავლეები. სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ აბიტურიენტები 1993 წლის 10 ივლისამდე ჩაირიცხებიან აღნიშნულ სპეციალობაზე. მომზადების თანხა 28 ათასი მანეთია.

საბუთები მიიღება 3 დეკემბრამდე.

გასაუბრება-ჩარიცხვა მოხდება 4 დეკემბერს. სწავლა დაიწყება 8 დეკემბერს.

ცნობებისათვის: საბურთალო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული, ოთახი 113, „სპეცფაკულტეტი“ — ბიზნესის უმაღლესი სკოლა.
ტელეფონები: 30-01-07, 30-40-73 — 10-დან 16-საათამდე.

საქართველოს აგრარული

უნივერსიტეტი

აცხადებს:
1993-1994 სასწავლო წელს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები მოეწყობა სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

— აგრონომ-ბიოლოგი; საკვებწარმოების ტექნოლოგია; სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექცია და გენეტიკა; მცენარეთა დაცვა; აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა; აგროეკოლოგია; ხილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია; მეაბრეშუმეობა;
(ბიოლოგია და ქიმია).

— დაკონსერვების ტექნოლოგია; სამაცივრო წარმოების და მეღვინეობის ტექნოლოგია; ხილ-ბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია; აბრეშუმის პარკის გადამუშავების ტექნოლოგია; საინჟინრო ეკოლოგია;
(მათემატიკა და ქიმია).

— სატყეო და ეროვნული პარკების მეურნეობა; დასახლებული ადგილების გამწვანება;
(მათემატიკა და ბიოლოგია).

— აგრობიზნესის ეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი; საბუღალტრო და საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა;
(მათემატიკა და გეოგრაფია).

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილების და ტრაქტორების ექსპლუატაცია (ქართული და რუსული სექტორები); სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილების და ტრაქტორების რემონტი და ტექნიკური მომსახურება; ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური მანქანები; მეცხოველეობის ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია; სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული და რუსული სექტორები); ღვინისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გადასამუშავებელ საწარმოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია; მიწათმოწყობა; ჰიდრომელიორაცია;
(მათემატიკა და ფიზიკა).

დამატებით მოეწყობა გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა). მსხვილი შრიფტით მითითებულია მაპროფილებელი საგანი, რომელშიც მოეწყობა წერითი გამოცდა.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონით:
51-40-72, 51-40-55 მიმღები კომისია

რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო

«კაკაბი»

გთავაზობთ ბიზნესმენებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო პირებს, თანხების ოპერატიულ გადარიცხვებს საქართველოდან რუსეთში და პირიქით!

დაწვრილებითი ცნობებისა და პირობებისათვის მოგვმართეთ:

☎ თბილისში (8832) 37-55-34, 22-45-53.
მოსკოვში (095) 290-46-03, 932-24-01.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა

ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება — თბილისის მენეჯერთა სკოლა

ა.წ. 30 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე
ატარებენ სემინარს თემაზე:

„სოციალური საბაზრო ეკონომიკისა და პრივატიზაციის საფუძვლები“

პირველი სემინარი:
30.11 - 4.12.

თემატიკა:

- სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში;
- პრივატიზაციის კონცეფცია და მისი განხორციელება საქართველოში;
- საკუთრების მომავალი ფორმები საქართველოში;
- თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სოციალური კომპონენტები

ვიწვევთ:

- სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო, კომერციული და კერძო საწარმოების ხელმძღვანელებს

მეორე სემინარი:
7.12. - 11.12.

თემატიკა:

- საწარმოს მართვა;
- სააღრიცხვო სისტემა;
- ბაზარზე ორიენტაცია;
- წარმოება;
- კადრების მართვის სისტემა

ვიწვევთ:

- სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო და კომერციული ბანკებისა და ფირმების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს

სემინარებს ჩაატარებენ გერმანიის წამყვანი ექსპერტები ქართველ სპეციალისტებთან ერთად

მონაწილეებს დაურიგდებათ სემინარების მასალები, ექნებათ გერმანელი სპეციალისტებისაგან კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

სემინარი ტარდება თბილისის მენეჯერთა სკოლაში.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 40.
ტელეფონები ცნობებისათვის: 39-11-30, 39-34-61.

სემინარი ტარდება გერმანიის მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით

PENTA Co-Ltd

ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და კერძო პირთა

საყურადღებოდ!

გთავაზობთ ნებისმიერი სახის ტვირთის გადაზიდვას, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თქვენს განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი „მაზ“-ისა და „კამაზ“-ის ტიპის ავტომანქანები, რომელთა ტვირთზიდვა განისაზღვრება 16-24 ტონის ოდენობით.

გთხოვთ ეწვიოთ საზოგადოება „პენტა“-ს საერთაშორისო გადაზიდვის სააგენტოს, რომელიც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ტვირთების გადაზიდვის ლიცენზიის მფლობელია. ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე ვაწარმოებთ ესკორტირებასა და უზრუნველვყოფთ ტვირთების გადაადგილების უსაფრთხოებას.

დღევანდელ დღეს, საქონლის მწვავე დეფიციტის პირობებში თქვენ საშუალება გექნებათ შეიძინოთ, როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე, სხვადასხვა სახის სახალხო მოხმარების საგნები, კერძოდ: ასანთი, ჭიქების კომპლექტი, უნივერსალური წებო-ემულსია, კონიაკი, მამაკაცის ტყავის ქურთუკები, მამაკაცის საწვიმარები, უცხოური წარმოების საბურავები „გაზ-24“ და „მოსკვიჩ-რენო“ მარკის ავტომობილებისათვის, ფრანგული წარმოების გამაგრილებელი სასმელები (ფორთოხალი, ლიმონი) და სხვა.

ყოველდღიურად ჩვენი „სავაჭრო სახლის“ საწყობები ივსება სხვადასხვა სახის საქონლით. დამატებითი ღირებულების გადახდის შემთხვევაში, მომხმარებელს ვემსახურებით შეძენილი პროდუქციის დანიშნულების ადგილზე მიტანით.

ჩვენი საწარმოო-სადიზაინერო ბიურო უზრუნველყოფს თქვენი ოფისის, მაღაზიისა და სხვა შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმებას. თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური არქიტექტორები და დიზაინერები, რომლებიც შემოგთავაზებენ პროფესიონალურ დონეზე შესრულებულ პროექტებსა და ესკიზებს. ჩვენი საწარმოო უბანზე დამზადდება თქვენი შენობების საფასადო ვიტრინები, სარეკლამო ფარები (როგორც შენობების ფასადზე, ასევე შენობების სახურავზე) და სხვა.

მობრძანდით ჩვენთან და გარწმუნებთ კმაყოფილი დარჩებით, როგორც მომსახურეობით, ასევე ფასებით!

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 118
საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი და კომერციული გამოფენების ცენტრი. პავილიონი №9

☎ 34-24-10, 34-46-57;
ფაქსი: (8832), 342076; ტელექსი 212182 ექსპო

გიწვევთ კურსებზე

საქართველოს ეროვნულ-საგანმანათებლო საზოგადოება აცხადებს მიღებას:

1. სამკურნალო მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე;
2. საიუველირო საქმის შემსწავლელ კურსებზე.

კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ:
ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, მე-12 სართული,
1213 ოთახი
ტელ: 37-96-49 10-დან 15 საათამდე
37-30-59 10-დან 20 საათამდე.

იყიდება

უჟანგავი მეტალის ცისტერნა — 2750 ლიტრის მოცულობის.
ტელეფონი: 99-67-72

რომელ ტოტს ვჭრით?

ალექსანდრე ეჯიბაძე, დენის დავითაშვილი

„...მე მგონი, ძალიან ვიჩქარეთ საქართველოში, როცა ტექნიკური და პროფესიული სასწავლებლები პრაქტიკულად გავანადგურეთ, დავაწიოკეთ, დავანაწილეთ შენობები, ქონება, ყველაფერი ეს ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. გვექნებოდა მატერიალური ბაზა და უფრო იოლად მოვერგებოდით საბაზრო ეკონომიკის პირობებს. ახლა პრაქტიკულად ყველაფერი შესაქმნელია თავიდან“...

ე. შევარდნაძე.

ჭეშმარიტებაა!!! მაგრამ, ვაი, რომ ამ ჭეშმარიტების უშედეგოდ მტკიცებას რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მესვეურებთან სამი წელი მოვანდომეთ და მაინც ვერ დავარწმუნეთ. იქნებ პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვები მაინც ირწმუნონ, თორემ ბოლო წლების განმავლობაში მეტეორის სისწრაფით იცვლებოდნენ მინისტრები, მიდიოდნენ და მოდიოდნენ მათი მოადგილეები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა სამინისტროს ზოგიერთი მესვეური, მისი და მომსვლელ-მიმსვლელი ხელმძღვანელების პოზიცია საქართველოში მუშათა კადრების პროფესიული მომზადების პრობლემის მიმართ, რომელიც ორი სიტყვით ასეთი მოსაზრებით გამოიხატებოდა: შრომა არ არის ქართველი კაცის ეთნოფსიქოლოგიის დამახასიათებელი თვისება, და პროფესიულმა განათლებამ ამოწურა თავისი საშუალებანი და ფუნქცია.

პროფესიული განათლების დარგის მუშაკები კი დარწმუნებული იყვნენ და არიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირობებში პროფესიული განათლების როლი და ამოცანები ქვეყნის ეკონომიკის დარგების განვითარებაში, აგრეთვე ეროვნული ჯარის ჩამოყალიბების საქმეში ერთიორად უნდა გაიზარდოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ კვალიფიციური კადრების აღზრდის ეს ერთადერთი კერა გაჩანაგების ობიექტად იქცა და სადღეისოდ ფუნქციადაკარგული ფიზიკური განადგურების ზღვარზეა.

ამავე დროს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი გარდაუვალად იწვევს დიდ უმუშევრობას და სოციალურ დაძაბულობას; მას თან სდევს არამწარმოებლურ და მწარმოებლურ სფეროებს შორის შრომითი რესურსების დიდი მასის გადანაწილების და ამასთან დაკავშირებული მუშახელის გადამზადების აუცილებლობა. ამ პრობლემის დაძლევის პროცესში პროფტექსასწავლებლებს რეალური შესაძლებლობა ექმნებათ შრომის ბირჟებთან ერთობლივად ახალი კადრების მომზადებასთან ერთად აქტიურად ჩაერთონ გამოთავისუფლებული მოსახლეობის მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ეს საკითხები კი გამორჩენილია განათლების სამინისტროს კონცეფციის პროექტში, რომელიც პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას საერთოდ გაუქმებით ემუქრება.

ორიოდე წლის წინათ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგის მუშაკების რესპუბლიკურ შეკრებაზე საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა. მან დაამუშავა ალტერნატიული კონცეფციური მოსაზრებები, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინტერესებთან სასწავლებლების საქმიანობის ორგანულ შერწყმას.

ამ მოსაზრებათა ერთ-ერთი ფრაგმენტი ასე გამოიხატება: შრომისუნარიანი 9 კლასის ან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, რომელსაც პროფესია არა აქვს, ან წარმოებიდან გამოთავისუფლებული ადამიანი, თუ მას აქვს მუშაობის სურვილი, მიმართავენ შრომის ბირჟას. შრომის ბირჟა ახალგაზრდას გზავნის სასწავლებელში პროფესიის მისაღებად და გამოთავისუფლებულს — საჭიროების შემთხვევაში — გადასამზადებლად. ისინი სწავლების შესაბამისი კურსის გავლის შემდეგ უბრუნდებიან ბირჟას, რომელიც ვალდებულია დაასაქმოს. ამ პროცესს დასაქმების ფონდი აფინანსებს.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის პირველ ეტაპზე ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა უცხოეთის ქვეყნებიდან დეფიციტური ნედლეულის, წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესყიდვასთან არის დაკავშირებული, რაც დიდ სავალუტო ხარჯებს მოითხოვს. ასეთ პირობებში, თუ ამთავითვე არ ჩამოყალიბდა კვალიფიციური კადრების მომზადების ეროვნული ინსტიტუტი, ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როდესაც ამ ხარჯებს კვალიფიციური სპეციალისტების გარედან დაქირავების აუცილებლობაც დაემატება, და ეს მაშინ, როცა საქართველოს საჭირო შრომითი რესურსები არ აკლია. ასეთი მიდგომა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ეკონომიკას, გაამწვავებს დემოგრაფიულ სიტუაციას, ხოლო საკუთარი ხალხის დაუსაქმებლობა მწვავე სოციალური აფეთქების საფრთხეს შექმნის.

ამიტომ მცდარია პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმის განათლების სამინისტროს სისტემაში „შრომითი სწავლების“ დონემდე დაყვანა, როგორც ამას ითვალისწინებს განათლების სამინისტროს კონცეფცია, და ამით მთლიანად გვისპობს ეკონომიკის წამყვანი დარგების ეროვნული კვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფის ერთადერთ რეალურ საშუალებას.

განათლების პრობლემებზე — პრინციპულად!

განათლების სამინისტროს არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის წყალობით, პროფესიულ სასწავლებლებში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მოსწავლეთა რაოდენობა განახევრდა, ხოლო სასწავლო ნაგებობანი და სხვა ქონება განუკითხავად ნიავდება.

კვალიფიციური კადრების მომზადების აშკარა უგულებელყოფის ფონზე გაოცებას იწვევს კომერციული ინსტიტუტების ქსელის ფორსირებული ზრდა (დღეისათვის მათმა რიცხვმა 280-ს გადაამეტა), რომელთა გარკვეულმა ნაწილმა პროფტექსასწავლებლის შენობებში დაიდო ბინა. ასეთი პოლიტიკა სულ მალე მიგვიყვანს ისეთ აბსურდამდე, როცა საქართველოში გაცილებით მეტი დიპლომირებული უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი გვეყოლება, ვიდრე პროფესიონალი მუშა. ასეთი მდგომარეობა ხელოვნურად გაზრდის უმუშევრობას და მუშახელის გამოთავისუფლების პირობებში მძიმე სოციალურ პრობლემებს შექმნის.

ჩვენ კატეგორიულად არ ვიზიარებთ განათლების სამინისტროს მესვეურების აზრს იმის თაობაზე, თითქოს „პროფტექგანათლებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მუშური პროფესია ეროვნულ ეთნოფსიქიკაში უარყოფით ემოციებს იწვევდეს“. ამასთან, შორს ვდგავართ იმ აზრისგან, თითქოს პროფტექგანათლება უნდა შენარჩუნდეს ადრინდელი ფორმით და შინაარსით, მაგრამ უარის თქმა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრიორიტეტზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში უმძიმეს ტვირთად დააწვება ქვეყნის ისედაც მოშლილ ეკონომიკას და მწარმოებლური სფეროსათვის დესტაბილიზაციის მთავარი ფაქტორი გახდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალგაზრდობის სოციალურ დაცვაზე და მისი გარანტიების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა, როგორც მრავალი სხვა დარგი, კრიზისულ მდგომარეობაშია, მას რადიკალური რეორგანიზაცია სჭირდება დაწყებული სასწავლებლების ქსელის ოპტიმიზაციით და დამთავრებული სწავლების ფორმებისა და შინაარსის, თვით სასწავლებლის სახელწოდების შეცვლითაც კი. დღეისათვის ფაქტობრივად მოშლილია სასწავლო-საწარმოო პროცესის ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მექანიზმი. ინჟინერ-პედაგოგიური კოლექტივების ინტელექტუალური და სასწავლებელთა სასწავლო-საწარმოო პოტენციალი მინიმალურად არის გამოყენებული, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ კვალიფიციურ მუშათა კადრებზე რეალურ მოთხოვნას რესპუბლიკის სუვერენიტეტის პირობებში. სისტემის რღვევის პროცესები კატასტროფულად ვითარდება, და თუ განათლების სამინისტროს განათლების კონცეფცია პარლამენტმა მიიღო, ეს შესაძლოა შეუქცევადი გახდეს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ სასწავლებლებისა და მათი მართვის ახალი მოდელის პრაქტიკული განხორციელების გზით, სრული ეკონომიკური, ფინანსური დამოუკიდებლობის პირობებში.

ჩვენი აზრით, განათლების სამინისტროში პროფტექნიკური განათლების სისტემის ავტონომიზაცია კვლავ გამოიწვევს ფუნქციების დუბლირებას ან სამინისტროს სტრუქტურაში პარალელური სამსახურების შექმნას, რაც ყოვლად დაუშვებელია როგორც ფინანსური, ასევე იურიდიული თვალსაზრისით. მეორე მხრივ, შრომის სამინისტროსათვის მისი დაქვემდებარების შემთხვევაში დამკვეთი და შემსრულებელი ერთი სახით მოგვევლინება. ამგვარი მონოპოლიზმის შედეგები კი ჩვენ არაერთხელ მწარედ გვიგემია.

ვფიქრობთ, საკითხი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე ფრიად მნიშვნელოვანია და ხალხისთვის გადადებას ვერ ითმენს. უცხოური ინვესტიციების პროგრამებში უკვე დღეს უნდა აისახოს პრიორიტეტული, განვითარებადი დარგების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის აუცილებლობა, უახლოეს მომავალში კი საჭირო გახდება ახლად არჩეულ პარლამენტში მოსახლეობის დასაქმების, კვალიფიციური კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კომისიის შექმნა და უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემებთან ერთად პროფესიული მომზადებისა და გადამზადების თაობაზე სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავება.

საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაუვალად მიგვაჩნია პროფტექგანათლების გამოყოფა განათლების სამინისტროდან, გასხვისებული კომპლექსების, შენობა-ნაგებობების და სხვა ქონების უკანვე დაბრუნება, რომლის ბაზაზე შეიქმნება უშუალოდ მთავრობისადმი დაქვემდებარებული პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური სტრუქტურა. ასეთი გადაწყვეტილების რეალიზაცია, საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული წინადადების შესაბამისად, არ იქნება დაკავშირებული დამატებით საბიუჯეტო ხარჯებთან, და კვალიფიციური კადრების მომზადებასთან ერთად, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტსაც მოგვცემს. შეიქმნება გარანტიები, როცა ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წინ გაუსწრებს მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადება, ხოლო ჩადებულ ფინანსირებას მიეცემა მიზნობრივი დანიშნულება.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე გადასვლა კვალიფიციური მუშა კადრების მომზადების მაღალპროფესიულ დონეს, საქმისადმი სისტემურ მიდგომას, ერთიანი სტრუქტურის შექმნას მოითხოვს. დღეისთვის არსებული სახელმწიფო ინსტიტუტებიდან ამ ფუნქციის შესრულება, გააზრებული რეორგანიზაციის შემთხვევაში, რეალურად მხოლოდ პროფტექგანათლების სისტემას ძალუძს, რომელსაც აქვს გამოცდილება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს ინჟინერ-პედაგოგიური კადრები. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. საბოლოო სიტყვა ხელისუფლებას ეკუთვნის.

იცხაკ რაბინი: გვაქვს იმედი და ძლიერი სურვილი საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავებისა

ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი უპასუხებს ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის, მწერალ გურამ ბათიაშვილის შეკითხვებს

სწორედ იმ დღეს, 2 ნოემბერს, როცა ისრაელის პრემიერ-მინისტრს იცხაკ რაბინს ჩემს მიერ ადრე გადაცემულ შეკითხვებზე პასუხი უნდა მოეცა, ისრაელის ქნესეთის (პარლამენტი) სხდომაზე მთავრობისადმი უნდობლობის საკითხი დადგა დღის წესრიგში. თუ ოპოზიციური პარტიები გაიმარჯვებდნენ, იცხაკ რაბინის მთავრობა დაიშლებოდა. ცხადია, იმ დღეს, იცხაკ რაბინს ინტერვიუსთვის არ ეცალა. მე კი 3 ნოემბერს შინ ვბრუნდებოდი. ამიტომ, ჩემს კითხვებზე პასუხების გაცემა პრემიერ-მინისტრის კანცელარიის პრეს-მდივანს გად ბერნარს დაევალა თურმე. გად ბერნარმა საუბრის დასაწყისშივე აღნიშნა, მე მხოლოდ და მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მოსაზრებებს გადმოგცემთო.

ვიდრე შეკითხვებსა და მათზე გაცემულ პასუხებს შემოგთავაზებდეთ, რამდენიმე ცნობა ისრაელის დღევანდელი პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის ბიოგრაფიიდან:

დაიბადა 1922 წელს იერუსალიმში, აშშ-დან რეპატრირებულთა ოჯახში. სწავლობდა მუშათა სკოლაში, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ყმაწვილობაშივე გახდა „პალმახის“ (იმ წლებში არალეგალური სამხედრო შენაერთი, რომელიც დამოუკიდებლობისათვის ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდა) წევრი. „პალმახსა“ და შემდეგ ისრაელის არმიაში დაჰყო 27 წელი. 1964-68 წლებში ისრაელის გენერალური შტაბის უფროსია, 1968 წელს ინიშნება ისრაელის ელჩად აშშ-ში.

1973 წელს ხდება ქნესეთის წევრი, მოგვიანებით — გოლდა მეირის მთავრობაში შრომის მინისტრი.

1974 წელს ხდება მთავრობის მეთაური. ამ პოსტის დატოვება მოუხდა იმის გამო, რომ მის მეუღლეს უცხოეთის ბანკში აღმოაჩნდა გარკვეული თანხა.

1976 წლის ივნისში ხელმძღვანელობდა უგანდის დედაქალაქის აეროპორტში მოწყობილ ე. წ. „ენტებეს“ ოპერაციას, რომელიც მთელ მსოფლიოში გახმაურდა.

1984 წელს გახდა უშიშროების მინისტრი.

1990 წლის მარტში სათავეში ჩაუდგა სამთავრობო ოპოზიციას.

1992 წლის ივნისში მოწყობილ საყოველთაო არჩევნებში მისმა პარტიამ „ავოდა“ მანდატების უმრავლესობა მოიპოვა და შეადგინა მთავრობა.

ახლა კი — კითხვები და მათზე გაცემული პასუხები.

— იბრაელობა საქართველოში 26 საუკუნის წინათ მოვიდა. რელიგიისადმი ერთგულებამ 26 საუკუნე შეინარჩუნა ეროვნული სულისკვეთება და ოცნება ისტორიულ სამშობლოზე, ხოლო, როცა ეს შესაძლებელი გახდა, 70-იან წლებში, ერთ-ერთმა პირველმა მიაშურა აღთქმულ მიწას. დღეს ისრაელში სამჯერ მეტი ქართველი ებრაელი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში. რა შეფასებას მისცემდით ქართველ ებრაელთა როლს ისრაელის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში?

— 70-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან ისრაელში დაბრუნებულ ებრაელთა შორის, ძალიან ბევრი იყო ქართველი ებრაელი. მათი ჩამოსვლის პირველსავე დღეებიდან, ცხადი გახდა, რომ ეს არის ძალზე განსხვავებული და მეტად თავისებური რეპატრიაცია, რომელიც უთუოდ მოახდენდა ზეგავლენას სხვათა ცხოვრებაზე. მათი დამახასიათებელი თვისებები: მტკიცე რწმენა, ტრადიციებისადმი ერთგულება და ნათესავმეგობრობის გრძნობა. იმ დღიდან მოყოლებული, ქართველი ებრაელნი მტკიცედ მკვიდრდებიან ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. არ დარჩა ყოფის არცერთი სფერო, მათ რომ არ ვხვდებოდეთ: იქნება ეს პოლიტიკური ცხოვრება, ეკონომიკა, მეცნიერება, თუ სხვადასხვა სიონისტური პარტია. ეს ერთი მხარეა მათი ყოფისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ბევრი მათგანი სერიოზულ წარმატებას აღწევს. ამ ბოლო წლებში, მოხდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში. ამან გამოიწვია საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შეცვლა ისრაელისადმი და ჩვენ მოგვეცა საშუალება, უკეთ დაგვენახა ის ქვეყანა, საიდანაც ქართველი ებრაელები წამოვიდნენ. დავინახეთ, რომ ქართველი ებრაელობა ძალიან არის დაკავშირებული ქართველ ხალხთან, ისიც დავინახეთ, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი ქვეყანა, იმათგან, სადაც არ ყოფილა ანტისემიტიზმი.

— როგორც პოლიტიკური მოღვაწე, როგორ უყურებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, და რა თავისებურებას გამოჰყოფდით კოლონიური უღლისგან განთავისუფლებული ქვეყნის ცხოვრებაში?

— ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩვენ მივიღეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილი. გარდა იმისა, რომ საქართველოს ცხოვრებას, იქ მიმდინარე პროცესებს თავად ვადევნებთ თვალს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილშიც ბევრი რამ ამოვიკითხეთ. ამოვიკითხეთ ის, რაც დღეს ასე აღელვებს საქართველოს, მთელ მის მოსახლეობას. წერილში იმ გზებზეცაა საუბარი, რომლებიც ამ ქვეყნის წინაშე იშლება. საქართველო ახალ გზაზე გადის და გამოვთქვამთ რწმენას, რომ იგი წარმატებას მიაღწევს. ვიცით, რომ საქართველო ისრაელისადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყანაა და გვინდა ამ ქვეყანაში, მშვიდობა იყოს.

— საქართველომ და ისრაელმა უკვე დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. თბილისსა და თელ-ავივში, ან იერუსალიმში, ალბათ, მალე საელჩოებიც გაიხსნება. როგორი იქნება ისრაელის ინტერესების მიმართულება საქართველოში, რომელიც ყოველთვის იყო და დღესაც რჩება კავკასიის კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრად?

— ისრაელის მხარე დარწმუნებულია, რომ ისტორიული წარსული დიდი საფუძველია დღეს ამ კავშირების განმტკიცებისათვის. ამიტომ, გვაქვს იმედი და ძლიერი სურვილიც, ურთიერთობის გაღრმავებისა. ზემოთ ითქვა, რომ მივიღეთ ბატონ ედ. შევარდნაძის წერილი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დასმულია სოფლის მეურნეობის დარგში დახმარებისა და თანამშრომლობის საკითხი, ახლა სოფლის მეურნეობის მინისტრი იაკობ ცური ამუშავებს საქართველოსთან თანამშრომლობის პროგრამას. ჩვენ შევპირდით ბატონ შევარდნაძეს და სიტყვასაც შევასრულებთ, რომ საქართველოში ავაგებთ ქარხნებს და სხვა თქვენთვის საჭირო ობიექტებს, რომლებსაც მიზანშეწონილად მივიჩნევთ ერთობლივი პროექტით. საქართველო, მეზობელი ქვეყანა, ჩვენთვის არ უნდა იყოს მხოლოდ კულტურული ცენტრი, იგი ეკონომიკური ცენტრიც უნდა გახდეს.

— საქართველო, ისევე როგორც ისრაელი, მშვიდობიან ურთიერთობას ესწრაფვის, მაგრამ, ჯერ ოსებთან, ხოლო შემდეგ აფხაზებთან დაკავშირებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ რელიგიური განსხვავებულობაც არის მიზეზი კონფლიქტის გამწვავებისა. თქვენ მუსლიმანური სამყაროსაგან თავდაცვის დიდი გამოცდილება გაქვთ. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ისრაელი, სომხეთი და საქართველოა ის სახელმწიფოები, რომლებმაც უნდა ეძებონ განსხვავებული რელიგიების შედეგად წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევის გზები. როგორ გესახებათ ამ სამი სახელმწიფოს თანამშრომლობა თუნდაც ისლამური ფუნდამენტალიზმისაგან თავდაცვის მიზნით.

— მოლაპარაკებით, მხოლოდ—მოლაპარაკებით. მაგრამ იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მოლაპარაკების მაგიდასთან დასვა, ძლიერი უნდა იყო. ისრაელი მომხრეა არაბულ ქვეყნებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისა. როგორც იცით, ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება იორდანიასთან, სირიასთან, პალესტინელებთან. გვინდა, რომ ამით ბოლო მოეღოს ათეული წლების ომს. ისიც გვჯერა, რომ საქართველო მიაღწევს მშვიდობას თავის ტერიტორიაზე. ამისათვის კი, საჭიროა, იგი გაძლიერდეს ეკონომიკურად, პოლიტიკურად, გაძლიერდეს მისი კულტურა, სოფლის მეურნეობა. იგივეს მოგახსენებთ სომხეთსა და ისრაელზე. ყველა უნდა გავძლიერდეთ. ამასთან ერთად, ჩვენ, მაგალითად, მზად ვართ, ზოგი რამ დავუთმოთ არაბულ ქვეყნებს. ამ სიტუაციაში ყველა ქვეყანა თავის გზას დაიძებს. მე მჯერა, საქართველოც მონახავს თავის გზას. მთავარია ის, რომ საქართველოს დიდი ინტელექტუალური პოტენციალი მოხმარდეს ხალხს და მშვიდობის შენარჩუნებას.

— ყოფილი საბჭოთა კავშირიდან აქ ჩამოსული ბევრი რეპატრიანტი ისრაელში გასაჭირს განიცდის: არა აქვს ბინა, უჭირს სამსახურის შოვნა, უჩივიან სახელმწიფო უწყებებში გამეფებულ ბიუროკრატიულ ბარიერებს. იმასაც კი ამბობენ, აშშ-ს შემდეგ, ისრაელია ცნობილი თავისი ბიუროკრატიითო (ჩვენ კი საბჭოეთზე უფრო ბიუროკრატიული ქვეყანა ვერ წარმოგვედგინა). ალბათ, ეს გარემოებაც გახდა იმის მიზეზი, რომ ხალხმა ზურგი აქცია „ლიკუდს“ და არჩევნებში თქვენს პარტიას მისცა ხმა. თქვენს მთავრობას თუ აქვს რაიმე ისეთი პროექტი, რომელიც მომავალ რეპატრიანტს ისრაელში ცხოვრებას გაუადვილებს.

— წინასაარჩევნო კამპანიის ცენტრალური თემა სწორედ ის გახლდათ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ახალ რეპატრიანტთა აბსორბცია. ბოლო სამ წელიწადში ისრაელში ჩამოვიდა ნახევარი მილიონი რეპატრიანტი. ეს არის ისრაელის საერთო მოსახლეობის 10 პროცენტი. ალიის (რეპატრიაციის) პოტენციალი კვლავაც დიდია — ჩვენ კვლავ ნახევარ მილიონ ადამიანს ველოდებით. ხალხს შინ, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სწადია. რეპატრიაციას უთუოდ აბრკოლებს ის, რომ ცოტაა სამუშაო ადგილები. ამ თვალსაზრისით, უკვე ბევრი რამ იცვლება. ძალიან მალე გამოთავისუფლდება ბევრი სამუშაო ადგილი. ეს გავლენას მოახდენს რეპატრიანტთა აბსორბციაზე. ხოლო რაც შეეხება ბინებს, ბინა ძალიან ბევრი გვაქვს, მაგრამ ეს ბინები არ არის იქ, სადაც არის სამუშაო ადგილები. ამ თვალსაზრისითაც ბევრი რამ კეთდება.

• • •

მცირე გადახვევა, რომლითაც დასტურდება ისტორიული გამოცდილება ისრაელში აბსორბციისა

ამ ორიოდე წლის წინათ, 1990 წლის 25 ნოემბერს, შევხვდი ისრაელის იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს იცხაკ შამირს. ბატონმა იცხაკ შამირმა მის სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე ასეთი რამ მითხრა:

— თქვენზე ბევრი რამ მითხრეს, ამიტომ, სიამოვნებით მოგესალმებით ისრაელში, როგორც სტუმარს, თუმც კი ვისურვებდი, მეხილეთ არა როგორც სტუმარი, არამედ, მუდმივი მცხოვრებელი ჩვენი ქვეყნისა.

მე კი ყოველგვარი მოიარების გარეშე, გულახდილად მივუგე:

— გმადლობთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ უკვე ერთი თვეა, ისრაელში ვარ, აქ ოჯახებში, ქუჩებში ხშირად ვხვდები ახალ რეპატრიანტებს და ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მათდამი დამოკიდებულებით: ებრაული სააგენტო „სოხნუთი“ თანდათან ამცირებს დახმარების მოცულობას, ძვირია ბინა, არ არის სამუშაო. ყველაფერი ეს ქმნის სერიოზულ დაბრკოლებას იმათთვის, ვინც აქ უკვე ჩამოვიდა.

პრემიერ-მინისტრმა გულიანად გაიცინა. თვალები ეშმაკურად მოწკურა და მომიგო:

— საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ რეპატრიანტებს სურთ, რომ აეროპორტში დავახვედროთ ბინის გასაღები. მათ ასევე სურთ, რომ აეროპორტშივე დავახვედროთ მანქანის გასაღები. მანქანა კი უნდათ, არა „სუბარუ“, არამედ „ვოლვო“. ჩვენს ქვეყანას ამის საშუალება არა აქვს. ეს არის სამშობლო ყოველი ებრაელისა, ჩამოვიდნენ აქ ისევე, როგორც ერთ დროს ჩამოვედით ჩვენ და შექმნან თავიანთი ცხოვრება ისევე, როგორც ჩვენ შევქმენით.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ იცხაკ შამირის ეს მოსაზრება ისრაელში ყოველმა მეორე კაცმა იცის.

• • •

კვლავ ისრაელის დღევანდელი პრემიერ-მინისტრისადმი იცხაკ რაბინისადმი დასმულ კითხვებს და მათზე გაცემულ პასუხებს მივუბრუნდით:

— იცხაკ შამირის მთავრობას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ იგი ტერიტორიებზე (იქ ასე ეძახიან ისტორიულად ისრაელის კუთვნილ ტერიტორიებს, ისრაელმა 1967 და 1973 წლების ომებში რომ გაანთავისუფლა) აშენებდა ახალ დასახლებებს. შამირის მთავრობას ბრალად სდებდნენ ტერიტორიების ანექსიის დაკანონებას. თქვენ კი, აპირებთ ამ ტერიტორიათა ნაწილის დათმობას. თანაც, ისეთი სტრატეგიული სიმაღლისა, როგორიცაა გოლანის სიმაღლე. ეს გარემოება ქვეყანაში დიდ ვნებათაღელვას იწვევს. მე თავად გავხდი მოწმე რამდენიმე დემონსტრაციისა ისრაელის პრემიერ-მინისტრს რომ მოუწყეს. იყო ასეთი პლაკატები: „რაბინი დაბრუნდეს სახლში“, „გოლანს არ დავთმობთ“, „გოლანი ჩვენი უშიშროების გარანტიაა“ და ა. შ. თქვენი მთავრობის ამგვარ გადაწყვეტილებაზე ჩვენში, საქართველოშიც კი ლაპარაკობენ და ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ამგვარმა ნაბიჯმა საფრთხე შეუქმნას ისრაელის უშიშროებას.

— ისრაელის დღევანდელი მთავრობის პოზიცია განსხვავებულია წინა მთავრობის პოზიციებისაგან. პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ გვსურს ავაშენოთ ახალი დასახლებანი ტერიტორიებზე და ამით კვლავ გავაძლიეროთ კონფრონტაცია არაბულ ქვეყნებთან. ამას არავითარი სიკეთე არ მოაქვს ისრაელისთვის. ჩვენ ველტვით მშვიდობას მეზობელ სახელმწიფოებთან. ეს იყო ერთ-ერთი ცენტრალური თემა წინასაარჩევნო კამპანიისა. ჩვენი ამ პროგრამის გამოც მივიღეთ ამდენი მანდატი ქნესეთში. ასეთი ახალი მიდგომა პრობლემისადმი გვაძლევს საშუალებას, გამოვასწოროთ ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან, აშშ-თან. ჩვენი მთავრობის დევიზი „მშვიდობა ნაცვლად ტერიტორიებისა“, ამ მისწრაფებამ შეუცვალა კიდეც იმიჯი ისრაელს. დღეს, ჩვენ სხვაგვარად გვიყურებენ. უამისოდ შეუძლებელია წინსვლა. დიახ, ვაწევთ მოლაპარაკებას არაბულ ქვეყნებთან, გვინდა დავთმოთ ნაწილი ტერიტორიებისა, ოღონდაც გვქონდეს მშვიდობიანი ყოფა, რათა ხალხმა იცხოვროს უკეთ, გაიაფდეს ბინები, მეტი იყოს სამუშაო ადგილი, მაგრამ როგორ არ უნდა დამთავრდეს ეს მოლაპარაკება, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ისრაელის უშიშროებას საფრთხე დაემუქროს. ქვეყნის უშიშროება გარანტირებულია.

— რას უსურვებთ საქართველოს, ქართველ ხალხს?

— ჩვენ ახალგაზრდა ქვეყანა ვართ და კარგად ვიცით, რას ნიშნავს დამოუკიდებლობის ჯერ მოპოვება და შემდეგ მისი განმტკიცება. ქართველ ხალხს ვუსურვებთ გამარჯვებას ახალ გზაზე, დემოკრატიის განმტკიცებას, ეკონომიკის გაუმჯობესებას.

P. S. იცხაკ რაბინისადმი დასმულ კითხვებზე, პასუხის მიღებაში დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ პარტია „ავოდას“ ცენტრალური კომიტეტის წევრსა და განყოფილების უფროსს თინა კრისილ-ხეფიაშვილისას და ისრაელის ებრაული სააგენტო „სოხნუთის“ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისა და საქართველოს პროგრამების ხელმძღვანელს იციკ მოშეს. (გ. ბ.).

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

⊙ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ატარებდა ექსპერიმენტულ სავალუტო ლატარიას, რომლის ტირაჟის გამართვა რამდენჯერმე გადაიდო, შემდეგ კი, გაურკვეველი დარჩა, გაიმართებოდა, თუ არა ამ ლატარიის ტირაჟი.

გთხოვთ გვიპასუხოთ: თუ ტირაჟი არ გაიმართება, სად შეიძლება ბილეთების მფლობელებმა უკან მიიღონ ფული?

ა. წიგნაძე (თელავი).

დავუკავშირდით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სადაც გვაცნობეს: იმის გამო, რომ ექსპერიმენტული ლატარიის 2 მილიონი ბილეთიდან გაიყიდა მხოლოდ 119.000, დაახლოებით საერთო რაოდენობის 12 პროცენტი, ლატარიის ტირაჟი ჩაიშალა. რეალიზაციის ასეთი დაბალი დონე კი, რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული. ვერ მოხერხდა მათი შეტანა და რეალიზაცია დასავლეთ საქართველოს ისეთ რეგიონებში, როგორიც არის სამეგრელო, აფხაზეთი. 19 სექტემბერს ტირაჟი კი დაიწყო, მაგრამ მონაწილეთა მოთხოვნით შეწყდა. ბილეთის მფლობელთა უმრავლესობამ ფულის უკან დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით, დაკმაყოფილდა ექსპერიმენტული სავალუტო ლატარიის ბილეთის მფლობელთა ნაწილის თხოვნა: ძალადაკარგულად ჩაითვალა ამ თემაზე ადრე მიღებული დადგენილებანი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო შემნახველ ბანკებს დაევალათ, იმ პირებს, ვინც სურვილს გამოთქვამს და წარმოადგენს ლატარიის ბილეთს, დაუბრუნონ ბილეთის ღირებულება ამერიკის შეერთებული შტატების დოლარებით ან სურვილისამებრ, მანეთებით.

ასე რომ, მიაკითხეთ თქვენს შემნახველ ბანკს.

⊙ პურის გაძვირებასთან დაკავშირებით, გთხოვთ გვიპასუხოთ: რა ღირს ერთი ცალი ქართული პური?

მერი ხუნდაძე (ხაშური).

გვიპასუხებს საწარმოო გაერთიანება „თბილისპურის“ მთავარი ინჟინერი **ჯიუ ლორთქიფანიძე**: უმაღლესი ხარისხის ქართული პური, წონით 800 გრამი, ღირს 34 მანეთი. ასეთივე ფასი აქვს პირველი ხარისხის პურს, რომელიც 900 გრამს იწონის. არის კიდევ სხვადასხვა ხარისხის პურის ფქვილის ნაზავით დამზადებული შავი პური, ანუ გლეხური, იგი 700 გრამს იწონის და ღირს 24 მანეთი. იყიდება დიაბეტური ქართული პური შოთების სახით, ფასი — 15 მანეთი.

⊙ გთხოვთ გვიპასუხოთ: არის თუ არა მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე, მიწისძვრის შედეგად იქ ხომ რამდენიმე ადგილას დაზიანდა გზა?

ნინო აიდარაშვილი (გორი).

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ტარიელ მდივნიშვილმა** გვაცნობა: მიწისძვრამ, რომელიც ამას წინათ მოხდა, საქართველოს სამხედრო გზაზე, კერძოდ, ყაზბეგამდე ბევრ ადგილას კლდეების ჩამოშლა გამოიწვია, რამაც მოძრაობა შეაფერხა, ამავე დროს, სოფელ გველეთთან ჩამოინგრა კლდის დიდი მასა და ჩაანგრია ხიდი. საქართველოს საწარმოო გაერთიანება ხიდმშენისა და 27-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მუშაკებმა მეორე დღესვე გაწმინდეს გზა, ხოლო ერთ კვირაში ხიდიც აღადგინეს. ასე რომ, ახლა საქართველოს სამხედრო გზაზე ტრანსპორტის მიმოსვლა აღდგენილია.

⊙ საქონლის ფასების მკვეთრი ზრდა ფულის დამატებით ემისიას იწვევს, ფულის გაუფასურება კი ზრდის ინფლაციის ტემპებს, რომელიც შემდგომში გადაიზრდება ჰიპერინფლაციაში. საინტერესოა, მსოფლიოში რომელ ქვეყანაში და როდის დაფიქსირდა ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი?

ზ. დავითაშვილი (თბილისი).

— მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი და რეგისტრირებულია არა ერთი მნიშვნელოვანი ინფლაციური აფეთქებანი, რომელთა რიცხობრივი გამოხატულება წლიური გადაანგარიშებით ათეულ ათასობით პროცენტს შეადგენდა. როგორც წესი, ეს ხდებოდა მაშინ, როცა კონკრეტული ქვეყანა, ან ქვეყნების ჯგუფი შედიოდა „კრიზისის ზოლში“, რაც ძირითადად ომის ან ომისშემდგომი მძიმე პერიოდებით იყო განპირობებული.

ბოლო ათწლეულებში ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირებულია ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ასე მაგალითად: ბოლივიაში წლიური გადაანგარიშებით 1984 წლის სექტემბრიდან 1985 წლის სექტემბრამდე ინფლაციის ტემპის ზრდა რეგისტრირებულია თითქმის 24.000%-ით.

მეოცე საუკუნის რეკორდსმენად კი მოცემულ სფეროში, ალბათ, ჩაითვლება 1946 წლის უნგრეთი, სადაც ერთი „ოქრო“, ანუ „ომამდელი პენგიო“ (მაშინდელი ეროვნული ფულადი ერთეული) ღირდა 130.000.000.000.000.000.000 „ომისშემდგომი“ — იგივე ფულადი ერთეული.

რატომ მარტო ინგლისური?

საქართველოში რომ ყველასგან გამხსვავებული ხალხი ცხოვრობს, ბევრი რამით უკვე დადასტურდა. სად, რომელ ქვეყანაში განახავთ მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრილმა, უკეთეს შემთხვევაში, ქულადაკლებულმა აბიტურიენტებმა საპროტესტო აქციები მოაწყონ, გინდათ თუ არა, უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენთვის ადგილები დაამატეთო? არც იმას ითხოვენ მშობლები არც ერთ ქვეყანაში, ჩემს შვილს ნუ ასწავლით, ისე მიეცით სასკოლო ატესტატიც და უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი დიპლომიც. ეს მარტო საქართველოში შეიძლება მოხდეს.

მაგალითების ჩამოთვლა უხვად შეიძლება.

წარმოიდგინეთ, საქართველოში იმის გამოც კი აწყობენ მშობლები საპროტესტო აქციებს, ჩვენს შვილებს სკოლებში სხვა უცხო ენებს ნუ ასწავლით, მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური ასწავლეთო. განსაკუთრებით, თურმე, ფრანგულს არ სწყალობენ. რაგინდ საოცარიც უნდა იყოს, ყველაზე შეუვალი ამ მხრივ მთაწმინდის, საბურთალოსა და ვაკის რაიონების სკოლების მოსწავლეთა მშობლები არიან. ამ რაიონების ბევრ სკოლაში, იმისთვის, რომ კონტინგენტი გადაერჩინათ, სკოლის შესვეურები იძულებული გახდნენ ფრანგული ენა გამოედევნათ და ინგლისურით შეეცვალათ, რადგან ამ მშობლების აზრით, თურმე, დღეს ინგლისური უფრო გამოსადეგი ყოფილა, ვიდრე ფრანგული.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საგანგებო სხდომა. სიტყვით გამოსულმა ფრანგული ენის სპეციალისტებმა გულისტკივილით ილაპარაკეს ამ პრობლემებზე და აღნიშნეს, თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში ფრანგული ენის სპეციალისტი აღარ დარჩება, რის გამოც შეუძლებელი აღმოჩნდება დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობანი ფრანგულენოვან სამყაროსთან და, საერთო ჯამში, სახელმწიფო ინტერესები შეილახება.

არ ვიცი, რა ღონისძიებანი შეიძლება იხმაროს განათლების სამინისტრომ ყოველივე ამის წინააღმდეგ, ან თათბირ-სხდომები როგორ უშველის დასმულ პრობლემას, თუ თვითონ მშობლების ცნობიერებაში არ აღმოიფხვრა ერთობ ჩამორჩენილი შეხედულება, თითქოს თურმე პრაგმატისტული თვალსაზრისით დღეს ინგლისური უფრო გამოსადეგი ენაც იყოს, ვიდრე ფრანგული. ოღონდ კარგად იცოდნენ და რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ენას ისწავლიან ჩვენი შვილები— ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს თუ ესპანურს! ღმერთმა ქნას, რამდენიმეც ესწავლოთ.

და კიდევ ერთი, მარტივად თქმული ამგვარად მოაზროვნეთათვის: დიდი მოთხოვნა ყოველთვის დეფიციტურზეა. ფრანგული ენის მცოდნენი ჩვენს სინამდვილეში თანდათან სანთლით საძებარნი გახდებიან, ჰოდა, ვასწავლოთ ჩვენს შვილებს ფრანგული, რათა სანთლით დაუწყონ ძებნა.

ეკა ლეჟავა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

კონფერენცია სტოკჰოლმში

აქ დაიწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „შვედეთის ინიციატივა ბირთვული იარაღის და ახალი ბირთვული სახელმწიფოების თავიდან აცილებისათვის“.

ამ ფორუმის ინიციატორები არიან პარლამენტში წარმოდგენილი ექვსი პოლიტიკური პარტია და მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სამი დღის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების რუსეთის, ჩინეთის, უკრაინის, ბელორუსის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ინდოეთის, საფრანგეთის, შვედეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწეები განიხილავენ პლანეტაზე ბირთვული იარაღის გავრცელების, შემთხვევითობის ან შეცდომის გამო მისი გამოყენების საშიშროებასთან, აგრეთვე ამ საფრთხის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ფართო წრის პრობლემებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შექმნილ ვითარებას, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში არსებულ სიტუაციას.

ისლამაბადიდან გააძევეს

ქვეყანაში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების აღკვეთის მიზნით ისლამაბადიდან გააძევეს ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენაზირ ბჰუტო. მას ერთი თვით აეკრძალა ისლამაბადში და რავალპინდიში ჩასვლა. ბენაზირ ბჰუტო 30 დღის შინაპატიმრობაში გაატარებს.

ამავე დროს ოფიციალური ხელისუფლება მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს შერიგდნენ. პაკისტანის პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა თანაშემწემ ნავაზ შარიფმა განაცხადა, თუ ოპოზიცია ჩვენს სასარგებლოდ ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამს, ჩვენ ათასს გადავდგამთ.

„ჩვენ შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა“

ეს განაცხადა ამერიკის პრეზიდენტად არჩეულმა ბილ კლინტონმა ოთხშაბათს თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში ჯორჯ ბუშთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ. „პრეზიდენტმა დიდი დახმარება გაგვიწია, ჩვენ ვისაუბრეთ დედამიწის რუკაზე მრავალი პოტენციურად საშიში წერტილების შესახებ... ძირითადად საქმე ეხებოდა იმ საერთაშორისო პრობლემებს, რომლებსაც, ალბათ, მე წავაწყდები — თქვა ბილ კლინტონმა.

41-ე და მომავალი 42-ე პრეზიდენტების შეხვედრამ თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში დასაბამი მისცა მომავალი და ახალი ადმინისტრაციის მჭიდრო თანამშრომლობას ხელისუფლების გადაცემის გარდამავალ პერიოდში.

თითო აბზაცით

სირიის ვიცე-პრეზიდენტმა აბდულ ხალიმ ხადამმა დამასკოში განაცხადა, რომ სირია ესწრაფვის „განსაკუთრებული ურთიერთობის“ დამყარებას რუსეთთან.

სეულიდან მიღებული ცნობით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სამხრეთ კორეის ეკონომიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ რუსეთი „წყვეტს ყოველნაირ სამხედრო დახმარებას ჩრდილოეთ კორეისთვის“.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ შეუძლებელი გახდება ეკოლოგიური კატასტროფისაგან პლანეტის დაქანების შეჩერება, რომელიც კაცობრიობას აუცილებელ უბედურებას დაატეხს თავს, ნათქვამია „დედამიწის მთავრობებისა და ხალხებისადმი მოწოდებაში“, რომელსაც ხელს აწერს სხვადასხვა ქვეყნის ათას ხუთასზე მეტი ავტორიტეტული მეცნიერი, მათ შორის 101 ნობელის პრემიის ლაურეატი.

ეს ჩვენი საქართველოა!

სამშობლოს გაჭირვების ჟამს

ეს ფოტორეპორტაჟი გადაღებულია თბილისში ჭორჭიაშვილის ქუჩის № 14-ში მდებარე სახელმწიფო ბანკის შენობაში მოთავსებულ საქართველოს ოქროს ფონდში — „მანდილოსანში“.

ყოველდღიურად აქ მრავალი თბილისელი მოდის, რომელთაც გადაწყვიტეს სახელმწიფო ფონდში ჩააბარონ ოქროს და ვერცხლის ნივთები.

სურათებზე: ექიმი ელზა გიორგაძე, რომელიც ყვარელში ოქროს ნივთების ჩაბარების მოწყობის ინიციატორია; მიმღები კომისიის მუშაობა; ეს ოქროს და ვერცხლის ნივთები მცირე ნაწილია იმისა, რაც ერთ დღეს ჩააბარეს თბილისელებმა.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

უკანასკნელ საათს

შეწყდება საომარი მოქმედება

რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობასთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე გუშინ სოხუმიდან გუდაუთას გაემგზავრნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საკითხებში გიორგი ხაინდრავა და აფხაზეთის საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი.

გუდაუთაში ჩასულთ დახვდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი შამბა, აფხაზეთის გვარდიის შტაბის უფროსი სოსლან ალიევი და რუსეთის არმიის წარმომადგენლები.

განიხილეს სოხუმიდან რუსეთის სამხედრო ნაწილების გაყვანისა და მათი ტრანსპორტირების საკითხები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ 20 ნოემბრის 24 საათიდან 29 ნოემბრის 24 საათის ჩათვლით გუმისთა-შრომის მიმართულებით შეწყდება საომარი მოქმედება.

გიორგი ხაინდრავამ მოითხოვა, რომ ქვემო ეშერაში რუსეთის არმიის ლაბორატორიის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთვალყურე.

გენერალ-მაიორმა სოროკინმა განაცხადა, რომ მომავალ შეხვედრაზე პასუხს გასცემს ქართული მხარის ამ მოთხოვნას.

მხოლოდ დროებით...

რა დასამალია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ზოგი იძულებითი ღონისძიება მოჰყვება. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ეკონომიკური მერყეობა — აი, ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ზუგდიდში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი საბავშვო ბაღების დახურვის საფუძველი გახდა. ქალაქ ზუგდიდში და მის რაიონში 58 საბავშვო ბაღი იყო, რომლებშიც ექვს წლამდე ასაკის ბავშვების სამოცდაათი პროცენტი იზრდებოდა. მართალია, ეს დროებითი იძულებითი ღონისძიება არ შეეხება საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საწარმოებში მოქმედ ბაღებს, მაგრამ მათი რიცხვი, სამწუხაროდ, ცოტაა. ქალაქში მხოლოდ ფაიფურის ქარხნის საბავშვო ბაღი მუშაობს და ისიც — ერთი ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ დროებით ღონისძიებას ეკონომიკურად გაანგარიშებული საპირისპირო ღონისძიება დაუპირისპირა და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ქალაქად 1000 ბავშვზე ათი საბავშვო ბაღის აღდგენას ითვალისწინებს. უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება ახლანდელ ვითარებაში, მდგომარეობას ერთგვარად შეამსუბუქებს. ალბათ ამჯერად სხვა უკეთესი ღონისძიების განხორციელება შეუძლებელი იყო. ცხადია, საბაზრო ეკონომიკამ საზრდოობის გადასახადი ძალზე გაზარდა. ახლა ბავშვის ერთჯერად კვებას 600-700 მანეთი ხმარდება და შეიძლება მალე კიდევ უფრო გაიზარდოს. ზუგდიდში საბავშვო ბაღების დახურვამ ბევრი პრობლემა წამოჭრა. უმუშევრად დარჩნენ სპეციალისტები, პედაგოგები, აღმზრდელები და რიგითი მუშაკები. მართალია, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს უნარჩუნდებათ ხელფასი, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი?! საზოგადოებრიობას სწამს, რომ ზუგდიდში საბავშვო ბაღები მხოლოდ დროებით დაიხურა.

გადიდებული მოთხოვნის პროდუქცია

მიმდინარე წლის დამლევამდე რესპუბლიკის სავაჭრო ქსელს მიაწვდიან ადგილობრივი წარმოების ორი ათას ტონაზე მეტ მაკარონეულს. თბილისის მაკარონის ფაბრიკამ მიიღო ორი პარტია ფქვილი ამ მოცულობის დეფიციტური პროდუქციის გამოსაშვებად.

— ჩვენ ეს-ეს არის განვტვირთეთ ექვსი ვაგონი ამერიკული ფქვილი, — გვითხრა ფაბრიკის დირექტორმა გიორგი სიხარულიძემ, — მაგრამ კიდევ გვაქვს სარატოვიდან მიღებული მარაგიც. სხვათა შორის, მეწისქვილეებთან დიდი ხნის საქმიანი კავშირურთიერთობის წყალობით ამ ქალაქიდან ჩვენ ვიღებთ განსაკუთრებით მაღალხარისხოვან მაკარონის ფქვილს.

ამ დღეებში საწარმოებში ყოველდღიურად უშვებენ თითქმის ორმოცდაათ ტონა ვერმიშელს, აგრეთვე სხვა სახეობის მაკარონეულს.

წლის დამდეგიდან თბილისის ფაბრიკამ გამოუშვა დაახლოებით ათი ათასი ტონა პროდუქცია. სპეციალისტთა პროგნოზის თანახმად, სულ ერთი წლის განმავლობაში საწარმოში გამოიმუშავებენ 12 ათას ტონაზე მეტ მაკარონეულს.

რევაზ ახმეტელი, ვალერიან ბაბუაძე.

ეხმარებიან სურსათით, ფულით

აფხაზეთიდან ლტოლვილებს მასპინძლობს გურჯაანის რაიონის სოფელი ვაჩნაძიანიც. მათთვის უსასყიდლოდ გამოიყო 300 კილოგრამი ხორბალი, სხვა სურსათ-სანოვაგე. გარდა ამისა, მევენახეობა-მეღვინეობის კომერციულმა ფირმა „ვაჩნაძიანმა“ გვარდიის ფონდში გადარიცხა 100 ათასი მანეთი, სოფლის მოსახლეობამ კი 70 ათასი მანეთი, რომლის ნახევარიც ადგილობრივი სკოლის კოლექტივზე მოდის.

ზურაბ არსენიშვილი.

გამოიწერეთ!

ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა



**ტრადიციული,
ოპერატიული,
ყველაზე იაფი
სახალხო გაზეთი**

გაახსოვდეთ: ხელმომწერთათვის ჩვენი გაზეთის ერთი ეგზემპლარი ღირს მხოლოდ 1 მან და 80 კაპ. საცალო გაყიდვაში კი 3 მანეთად გაიყიდება.

- **გაისად, ინფლაციის მიუხედავად, გაზეთის ფასი შენარჩუნდება.**

ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ღირს, ერთი წლით კი 468 მანეთი დაგიჯდებათ.

იმათ კი, ვისაც მთლიანად 1992 წლისთვის ჰქონდა გამოწერილი ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადა 6 თვის ხელმოწერის ღირებულება 110 მანეთი ან 4 თვისა — 88 მანეთი, სათანადო ქვითრების წარდგენის შემთხვევაში ეს თანხა ჩაეთვლება ხელმოწერის ღირებულებაში გაზეთისათვის.

„საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერის დამთავრებამდე მხოლოდ 11 დღე რჩება! იჩქარეთ, არ დაიგვიანოთ 1993 წლისათვის ხელმოწერის გაფორმება!

ახალი ჟურნალი

„პატიმართა საძმო“

პატიმართა
საძმო
PRISON FELLOWSHIP
ТЮРЕМНОЕ БРАТСТВО
1992

ჩვენმა მკითხველებმა ახალი ჟურნალი მიიღეს — „პატიმართა საძმო“. იგი სრულიად საქართველოს პატიმართა საძმოს საზოგადოების ინიციატივით გამოვიდა და მისი გამოცემა იქნება. თავისთავად უჩვეულო და თავისებურია ეს ჟურნალი, რომელსაც მკითხველი ორ თვეში ერთხელ მიიღებს და ფრიად კეთილშობილური მისია აკისრია. ასეთი ჟურნალი საერთოდ პირველია საქართველოში. მასში მეტად საინტერესო პუბლიკაციებია ქართველი მკითხველისთვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც გზას არის აცდენილი, იზოლირებულია ჩვენი საზოგადოებისგან და კანონით სასჯელს იხდიან.

ჟურნალში დაბეჭდილი მასალები მეტად მრავალფეროვანია, ფართოდ ეხება პატიმართა ცხოვრებას, ყოფას, ამ სახის დაწესებულებების მუშაობის პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ამ მხრივ ჩვენი საზოგადოების ამოცანებს. ყოველივე ამაზე ვრცლად არის ლაპარაკი ჟურნალის შესავალ წერილსა და სხვა პუბლიკაციებში. მისი ტირაჟი ექვსი ათასია.

მოკლე ინფორმაცია

ვაი, ასეთ „სტაბილიზაციას“

თუ სადმე არის სტაბილიზაცია, დანაშაულის ჩადენის სფეროშია. 19 ნოემბრის ცნობით გარდამავალი პერიოდის დამნაშავენი ჩვეულ დაძაბულობას ინარჩუნებდნენ.

სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით 36 დანაშაულია ფიქსირებული.

ორი მკვლელობაა (ორივე დანაშაული გახსნილია), ერთი მკვლელობის მცდელობა, 1 სხეულის დაზიანება.

სახელმწიფო ქონება ხუთგან მოიპარეს; პირადი ქონების ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობით გატაცება — 10.

გაიტაცეს 8 ავტომანქანა, 5 ავტოავარიაში დაიღუპა 2 ადამიანი.

მიუხედავად ამისა ჩანს, მაინც დავრჩებით „ინტელიგენტურ საზოგადოებად“, რადგან ხულიგნობის ერთადერთი ფაქტია აღნუსხული.

მშვიდობით, „ძველო“!..

კულტურის ცენტრი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი რკინიგზელთა კულტურის სასახლის ბაზაზე ახლახან ჩამოყალიბდა, იქნება ახალი ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მოხდება თვითმოქმედების შერწყმა პროფესიულ ხელოვნებასთან. ამ მოვლენას მიეძღვნა კონცერტი, რომელიც 18 ოქტომბერს გაიმართა რკინიგზელთა კულტურის ცენტრის დარბაზში.

რკინიგზა გვერღვევა, იქნებ ცენტრმა გვიშველოს.

ვინ შეედრება ანასა...

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი ლიტერატურული საღამო — სპექტაკლი „ანაობა“. იგი მიეძღვნა რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნას და დაიდგა საზოგადოება „მემორიალის“ ინიციატივით.

სპექტაკლ „ანაობაში“ მონაწილეობდნენ — ზინა კვერენჩხილაძე, ჯემალ მონიავა, თამარ გეგეჭკორი, გია ბურჯანაძე.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ანაობა“, რომელშიც მონაწილეობენ ჯემალ მონიავა და თამარ გეგეჭკორი.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ვერცხლის ანტიგონე“ — ზაზა ხალვაშს

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს ტრადიციული კინოფესტივალის ჟიურის პრიზი „ვერცხლის ანტიგონე“ გადაეცა ზაზა ხალვაშს ფილმისათვის „იქ, ჩემთან“. 22 ნოემბერს ქართული კინოსკოლის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი გოგი დოლიძე, მიემგზავრება მიუნხენს. იგი მონაწილეობას მიიღებს იქ გახსნილ მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალში. საფესტივალო აფიშაზეა ზაზა ხალვაშის ფილმი „იქ, ჩემთან“.

ოღონდ თქვენ არ გაგიჭირდეთ, ბიჭებო!

გაერთიანება „საქმონტაჟსპეცმშენის“ აპარატმა და მის დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებიდან შეაგროვეს და თავდაცვის ფონდში შეიტანეს 454 ათას 200 მანეთი, 265 ცალი დათბილული ქურთუკი, 42 ათასი მანეთის მედიკამენტები, სამი ცალი რადიოსადგური. გაერთიანების ორგანიზაციებში გრძელდება დახმარების შეგროვება.

ჯერ ორჯონიკიძე გაყიდეს, ახლა — ლენინი

გასულ წელს, ხარაგაულის მექანიკურმა ქარხანამ ჭიათურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას მიჰყიდა სერგო ორჯონიკიძის დემონტირებული ძეგლი, სათანადო ღირებულების ანაზღაურებით. წლეულს, 4 ოქტომბერს კი, ხარაგაულის კომუნალური მეურნეობის კომბინატმა ლენინის დემონტირებული ძეგლი ასორმოცდაათ ათას მანეთად „გაიმეტა“ რაიონში სამშენებლო კოოპერატივ „კოლხეთზე“.

კოოპერატივს ძეგლის ღირებულება ჯერ არ გადაუხდია. არსებული წესის მიხედვით, ძეგლების გაყიდვაზე არ არსებობს ზემდგომი ორგანოების რაიმე გადაწყვეტილება. საქმე აღძრულია და იძიებს ხარაგაულის შინაგან საქმეთა განყოფილება.

სასამართლო ქრონიკა

დამსახურებულად მიეზღოთ

ხაშურის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე — კ. კოყორიძე, პროკურორი — პ. ხიჯაკაძე) 1992 წლის 6 ნოემბერს განაჩენი გამოუტანა ვ. კიკნაძეს და გ. გურგენიძეს, რომელთაც ბრალი ედებათ ხაშურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორის, მილიციის მაიორის ლევან ცხოვრებაშვილის გატაცებაში ფულის გამოძალვის მიზნით.

სასამართლომ დადასტურებულად ცნო განსასჯელთათვის წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა: ვლადიმერ კიკნაძეს — თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, აქედან პირველი სამი წელი — საპყრობილეში. ქონების კონფისკაციით. იგი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნეს.

გიორგი გურგენიძეს მიესაჯა ცამეტი წლის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

კახიაშვილი კვლავ უძლეველია

4 მედლითა და გუნდური მეორე ადგილით დაასრულეს გამოსვლა ქართველმა ძალოსნებმა საერთაშორისო ტურნირზე თურქეთში.

90 კგ წონით კატეგორიაში უძლეველი იყო ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი. ამავე წონაში მესამე პრიზიორი გახდა მუხრან გოგია.

კიდევ ერთი მესამე ადგილი ჩვენს გუნდს მოუტანა ხვიჩა მაისურაძემ (48 კგ).

ზემძიმე წონაში მეორე პრიზით აღინიშნა კობა ტალახაძის ასპარეზობა.

ფიცარნაგზე გამოვიდნენ 7 ქვეყნის ძალოსნები.

ევროპის სტადიონებზე

ტრადიციისამებრ, ოთხშაბათმა ევროპაში მძაფრ საფეხბურთო ბატალიებში ჩაიარა — გაიმართა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები, რომლებიც, დაზუსტებული მონაცემებით, ასეთი შედეგებით დამთავრდა: **I ჯგუფი.** შვეიცარია-მალტა — 3:0, შოტლანდია-იტალია —0:0; **II ჯგუფი.** ინგლისი-თურქეთი —4:0; **III ჯგუფი.** — ჩრდილოეთ ირლანდია-დანია — 0:1; ესპანეთი-ირლანდია — 0:0; **IV ჯგუფი.** ბელგია-უელსი — 2:0.

ამავე დღეს ამხანაგურ მატჩებში პოლონეთმა მოუგო ლატვიას — 1:0, ხოლო გერმანია და ავსტრია ერთმანეთს უგოლო ზავით დასცილდნენ — 0:0.

სტარტზეა მესამე საერთაშორისო

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება მესამე საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელიც 22 ნოემბერს დაგვირგვინდება საქართველოს აბსოლუტური ფალავნობისათვის გამართული ორთაბრძოლით.

შეხვედრები ყოველდღიურად 11 და 17 საათზე დაიწყება.

სერიოზული განაცხადი

ბრაზილიის საფეხბურთო კლუბმა „კრუზეირომ“ სერიოზული განაცხადი გააკეთა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის დასაუფლებლად.

მან დიდი ანგარიშით — 4:0 მოუგო პირველი ფინალური მატჩი არგენტინის „რესინგს“.

ცხონება

ბორის ჩარკვიანი

მოულოდნელად გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი ბორის (ბინაგვერ) ჩარკვიანი.

დაიბადა 1935 წელს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში, პატიოსანი, გამრჯე გლეხკაცის ოჯახში. ადრე დაობლებული, პატარაობიდანვე შეება შრომის ჭაპანს. 30 წლის ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილ მუშაკს მშობლიური სოფლის თავკაცობაც ანდეს.

1971 წელს იგი ხაიშის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად დაინიშნა. აქაც ბევრი წამოწყებისა და თამამი ინიციატივის ავტორი გახდა.

სვანეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების შემდეგ ბორისი ოჯახით დმანისში გადმოსახლდა. ჯერ საგზაო სამმართველოში მუშაობდა, შემდეგ კი სოფელ დალარის საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორად დანიშნეს, რომელიც მისი ხელმძღვანელობით რაიონში ერთ-ერთი მოწინავე გახდა. რაიონული გამგეობის წევრადაც აირჩიეს.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია, თავისი შრომისმოყვარეობით, ადამიანური და საქმიანი თვისებებით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი, ოთხი შვილის საუკეთესო მამა, ერთგული მეუღლე და მეგობარი.

შენი ხსოვნა ჩვენთან დარჩება მარად.

მეგობრების ჯგუფი.

სევერიანე ოჩიგავა

გარდაიცვალა აბაშის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე — კანცელარიის გამგე სევერიანე ოჩიგავა.

მისი ცხოვრების წლები საბჭოურ-კომუნისტურ ხანას დაემთხვა, იმ რეჟიმის დროს მოუწია მთელი ძალისხმევით მუშაობა, მაგრამ რა დროსაც უნდა დაბადებულიყო და ეღვაწა, ბატონი სევერიანე, უთუოდ, მუდამ პირუთვნელი და მართალი მემატიანე იქნებოდა თავისი დროისა. თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე ამ პატრიოტი კაცის ნაღვაწი, ეჭვგარეშეა, არა ერთ და ორ თაობას გამოადგება სამაგალითოდ და მისაბაძად.

ათეული წლების მანძილზე რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად ნამუშევარი, ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდან ანალოგიურ სამსახურს იბარებს და ჩვეული პუნქტუალობითა და წესრიგიანობით უძღვება მინდობილ უბანს.

ძნელია, ალბათ, რაიონში მოინახოს ადამიანი, ბატონ სევერიანეს სახელი არ სმენოდეს, მისი გულისყურიანობითა და დამრიგებლობით ერთგზის მაინც არ ესარგებლოს...

ძნელი იქნება უმისოდ!..

სპეტაკი ადამიანის, ჩინებული მოქალაქისა და მეოჯახის, ყოველმხრივ მისაბაძი კოლეგის სევერიანე ოჩიგავას ნათელი ხსოვნა წარუშლელი დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა და ვისთანაც მას ჰქონია ურთიერთობა.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

აბაშის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობა.

რადიო
„თავისუფლება“
(მიუნხენიდან)

GOULNARA K. GURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty
RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY
RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2268
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523228/523904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე; 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში;
21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში;
და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9650 და 7150 კილოჰერცის დიაპაზონში.

მიწისძვრა:

შედეგები და გაკვეთილები

23 ოქტომბერს ღამით კავკასიონის სამხრეთ განშტოებაში, მდინარეების არაგვისა და ფშავის არაგვის ხეობაში მომხდარი მიწისძვრის ადგილიდან დაბრუნდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი აკადემიკოს ემილ სეხნიაშვილის მეთაურობით, საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა მას ეამბნა მიწისძვრის მახასიათებლებისა და მისი შედეგების, საქართველოს ტერიტორიის სეისმური რაიონებისა და ამ რაიონებში მშენებლობის საჭირო პირობების შესახებ.

— მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრი, ქართველ გეოფიზიკოსთა მონაცემებით, მდებარეობდა გუდამაყრის ქედზე, ფასანაურ-ბარისახოს ხაზის მახლობლად, ძირითადად მოიცვა დუშეთის რაიონის ტერიტორია, — თქვა ემილ სეხნიაშვილმა. — ზოგიერთ სოფლებში, თანაც, მთიან და მაღალმთიან სოფლებში, დაინგრა შენობები, მაგრამ ეს ნგრევა არ არის მნიშვნელოვანი. ცალკეულ სოფლებში, ისეთებში, მაგალითად, როგორიც არის ფასანაური, ბარისახო, მაღაროსკარი, ჩირდილი, დაინგრა რამდენიმე სახლი, დაიბზარა ნაგებობები, ზოგიერთი შენობები დაზიანდა. სეისმური ინტენსიურობის ამჟამად მოქმედი სკალის მიხედვით, ეს სახლები განეკუთვნება „ა“ ტიპის ნაგებობებს, ანუ ნატეხი ქვით ნაშენს, დაზიანება კი — პირველ-მესამე ხარისხს, რაც დამახასიათებელია დაახლოებით 7 ბალი სიმძლავრისათვის. ვაჟა-ფშაველას სახლი ჩარგალში არ დაზიანებულა. დაინგრა სოფელ მაღაროსკარში სკოლა-ინტერნატის ორსართულიანი საძილე კორპუსი, რომელიც აშენებული იყო 1964 წელს მშენებლობისათვის უვარგისი სილიკატური აგურის გამოყენებით. საბედნიეროდ, წინა ღამით, არდადეგების გამო, ბავშვებს ამ კორპუსში ღამე არ გაუთევიათ. მცირე ბზარები გაჩნდა ღვთაებისა და მიქაინების ტაძრებსა და მე-14-მე-15 საუკუნეების შესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლში — ქვის საგუშაგოში, რომელიც ანანურში მდებარეობს. ერთი 12 წლის გოგონა დაიღუპა.

თუ ვილაპარაკებთ მიწისძვრებზე, როგორც კატასტროფიულ მოვლენებზე, დედამიწის ზედაპირზე საშუალოდ ყოველწლიურად იგრძნობა სამი 10, 11 და 9 ბალი სიმძლავრის, 80 რვაბალიანი, 400 შვიდბალიანი და 1300 ექვსბალიანი მიწისძვრის შედეგები. საქართველო მაღალი სეისმური აქტივობის რეგიონია. ჩვენმა მეცნიერებმა შეადგინეს რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკა, რომელზეც ყოველი დასახლებული პუნქტისათვის აღნიშნულია უკვე მომხდარი ან მოსალოდნელი მიწისძვრების მაქსიმალური ინტენსიურობა. ეს რუკა გრძელვადიან პროგნოზს იძლევა. მაგრამ მიწისძვრათა მოკლევადიანი პროგნოზის, ანუ ყველაზე საჭირო პროგნოზის გაკეთება ჯერჯერობით მეცნიერებას არ ძალუძს და, ალბათ, ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება ვერც ახლო მომავალში.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ მრავალ მსხვერპლსა და ნგრევაში რომლებსაც შემდეგ აბრალებენ ამ სტიქიურ უბედურებებს, ჩვენც, თვით ადამიანებსაც მიგვიძღვის ბრალი. სახლები არა მარტო სოფლებში, არამედ ხშირად ქალაქებშიც შენდება ცუდი ხარისხის პროექტებით, არაკეთილსინდისიერად, ამ საქმისათვის უვარგისი მასალებით და ხშირად პროფესიული ეთიკისა და ზნეობის წესების დარღვევითაც. განსაკუთრებით ცუდად შენდება სახლები სოფლად. მათი მშენებლობის დროს, როგორც წესი არა აქვთ რიგიანი პროექტები, მშენებლობა მიმდინარეობს ქაოსურად, არ ხდება სეისმომედეგობის შემოწმება. თუმცა, ახალი შენობა-ნაგებობები თბილისში, სხვა ქალაქებში, ზოგჯერ კი — სოფლადაც, შენდება მსოფლიო დონის შესაბამისი თანამედროვე თეორიული გაანგარიშებით. ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა: განახორციელონ ყველა საცხოვრებელი სახლისა და შენობის შემოწმება სეისმომედეგობაზე, დაადგინონ ყოველი სახლის, როგორც ახლის, ისე ძველის, სეისმოსაიმედოობის ინდექსი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში არის მილიონამდე სახლი, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, რომლებსაც სჭირდებათ მათი სეისმოსაიმედოობის, სეისმოვარგისიანობის დადგენა.

წინათ ასეთი სამუშაოს შესრულება რთული იყო. ამჟამად ჩვენ შევადგინეთ და გამოვეცით საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სეისმომედეგობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და დადგენის ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციით სარგებლობა შეუძლია ისეთ სპეციალისტსაც, რომელსაც არა აქვს დიდი გამოცდილება. მზად არის აგრეთვე განახორციელოს გამოკვლევები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ კატასტროფათა შედეგების კვლევის ჩვენი სამეცნიერო ცენტრი, სადაც შედგა კიდეც ეს ინსტრუქცია.

და კიდევ, ყველა იმ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც მაღალია სეისმური აქტივობის დონე, მოსახლეობა აზღვევს თავის საცხოვრებელს მიწისძვრისგან. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, მიწის ყოველ ნაკვეთს ბალიანობის მიხედვით აფასებენ შესაბამისი სპეციალიზებული ორგანიზაციები და ეს შეფასებანი შეტანილია კომპიუტერში. ყოველ მსურველს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები სამშენებლო უბნის შესახებ, მისთვის შეასრულებენ შესაბამის პროექტს, განხორციელდება მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლი და დაზღვეული იქნება სახლი ან სხვა ნაგებობა რისკის შესაბამისი დონის გათვალისწინებით. ყოველივე ამის საშუალება ჩვენ არ გვაქვს. სახელმწიფო კი დაზარალებულებს სახსრებს უხდის არა დაზღვევის, არამედ შესაძლებლობის მიხედვით. თუ განხორციელდება ქმედითი დაზღვევა, ზარალის ანაზღაურების მთელ ტვირთს სადაზღვევო საზოგადოება იკისრებს.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ შევამციროთ მიწისძვრების ნეგატიური შედეგები, ჩვენც კარგად უნდა მოვემზადოთ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენობა-ნაგებობები დავაპროექტოთ და ვაშენოთ სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების მკაცრი დაცვით, დავუწესოთ ობიექტური კონტროლი მშენებლობის ხარისხს, კერძოდ, არ დავუშვათ ნაგებობათა არავითარი გადაკეთება, მიშენება, დაშენება, თუ ამისათვის არ იქნება კომპეტენტური ორგანოების ნებართვა და საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი პროექტები; შევამოწმოთ საცხოვრებელი სახლების, სხვა შენობა-ნაგებობების სეისმომედეგობა; სრულვყოთ დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმები და წესები სეისმურ რაიონებში.

საშინელია ის ნგრევა და უბედურება, რომელიც მოაქვს მიწისძვრებსა და მათ თანამგზავრებს — ზვავებს, მეწყერებს, ხანძრებს, მაგრამ ადამიანის გამჭრიახი გონება, კვლევის მეთოდებისა და გაანგარიშების ხერხების, დაპროექტებისა და მშენებლობის განვითარება და სრულყოფა გვაძლევს საშუალებას ავუდგეთ წინ აბობოქრებულ მიწისქვეშა სტიქიას.

საუბარს უძღვებოდა
დავით რამიშვილი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 64484